საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 28-29 აპრილი. 2021 წ. №91-92 (9210-9211) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მთავარი პრობლემა

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედი „მეხუთე კოლონა“, რომელსაც დროული გაუვნებელყოფა სჭირდება

1936-1939 წლებში სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული ესპანეთის ფრანკისტ გენერალ ემილიო მოლას მიაწერენ ნათქვამს, რომ რესპუბლიკელების კონტროლქვეშ მყოფი მადრიდის აღებაში შეტევაზე გადასული ოთხი კოლონის ნაცვლად, გადამწყვეტ როლს შეასრულებდა მეხუთე კოლონა – დედაქალაქში მყოფი მისი მხარდამჭერი ძალები. ისტორია მდიდარია მაგალითებით, როდესაც ამა თუ იმ არსებულ პრობლემაზე მსჯელობისას ყურადღების კონცენტრირება ხდება ერთ ან რამდენიმე გარემოებაზე მაშინ, როდესაც მთავარი, რეალური, ეგზისტენციური საფრთხე სულ სხვა მხრიდანაა მოსალოდნელი. ამ ასპექტით, არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი...

საქართველოს სტაბილური და მდგრადი განვითარების წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორებიდან, სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებით, რესპოდენტები, როგორც წესი, ასახელებენ **ოთხ** მთავარ პრობლემას: უმუშევრობას, ინფლაციით გამოწვეულ კეთილდღეობის დაცემას, პოლიტიკურ არასტაბილურობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

თითოეული მათგანი მართლაც სერიოზულად აზიანებს ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს, სახელმწიფოებრივ სტაბილურობას და მდგრადობას. მაგრამ მთავარი საფრთხე ჩვენი ქვეყნის არა თუ განვითარებასა და მდგრადობას, არამედ არსებობას, მადრიდის აღებაში **მეხუთე კოლონის** წვლილისა არ იყოს, აქაც ზემოთდასახელებულ **ოთხ** ფაქტორთაგან განსხვავებული, **მეხუთე** ფაქტორით ემუქრება – ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის არსებობისა და მომავლისთვის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი – **უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება, შობადობის კლება, მოკვდაობის მატება, მასობრივი ემიგრაცია ის ფაქტორებია, რომლებიც ყველაზე** მეტად აყალიბებენ ქართველი ერის მილევად რეჟიმში გადაყვანის კონტურებს.

ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინ ჩინელი ფილოსოფოსი ლაო ძი წერდა, რომ სახელმწიფოს წარმატებულ განვითარებას უზრუნველყოფს **ტერიტორია, მოსახლეობა და უნარიანი მართვა.**

დემოგრაფიული ფაქტორი. მოსახლეობის რიცხოვნობა ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამის მკაფიო მაგალითია ისრაელი, რომლის მოსახლეობა დაარსებიდან განვლილი შვიდი ათეული წლის მანძილზე 14-ჯერ გაიზარდა – 0.5 მილიონიდან 7 მილიონამდე. რომ არა ამ ქვეყნის მოსახლეობის ასეთი ზრდა (ამ სახელმწიფოს ეკონომიკასა და ტექნოლოგიებში მიღწეულ შთამბეჭდავ წარმატებებთან ერთად), მის წინაშე მდგარი განვითარებისა და უსაფრთხოების ამოცანების გადაჭრა გაცილებით რთული იქნებოდა.

საქართველოში კი ვითარება აბსოლუტურად საპირისპიროა – **დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე ქვეყნის დე-ფაქტო კონტროლირებადი ტერიტორია 1/5-ით, ხოლო მოსახლეობა – 1/3-ით შემცირდა, ეკონომიკური განვითარების დონით საქართველო მსოფლიოს ორასამდე სახელმწიფოს შორის „სადღაც“ პირველი და მეორე ასეულის მიჯნაზე იმყოფება.** 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით შემცირებული მოსახლეობის ერთი ნაწილი (მთლიანი შემცირების დაახლოებით 15%) არაკონტროლირებად, ფაქტობრივად კი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ჩარჩა“ (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი), მეორე ნაწილი (25%) – საკუთარ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა (ძირითადად – ებრაელები, ბერძნები, სლავური წარმომავლობის პირები), ყველაზე დიდი ნაწილი კი (60%-ზე მეტი – ეთნიკური ქართველები) – საქართველოდან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გადაიხვეწა!!!

იხ. 4 გვ.

სალომე ზურაბიშვილმა გიორგი რურუა შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი რურუას შეწყალების აქტი გამოსცა, – ამის შესახებ პრეზიდენტი სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე წერს.

„მივესალმები შეთანხმების პირველი ეტაპის შესრულებას! ჩემი მხრივ შევასრულე ჩემი სიტყვა და ხელი მოვაწერე შეწყალების აქტს!

ვულოცავ კახა კუჭავას პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას! ვულოცავ ყველა დეპუტატს, ვინც დღეს პირველად გამოიყენა ხალხის მიერ მინიჭებული მანდატი და შევიდა პარლამენტში! ყველას გისურვებთ წარმატებას!“, – წერს ზურაბიშვილი. სალომე ზურაბიშვილმა შეწყალების აქტი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების პარლამენტში მისვლის დღეს გამოსცა.

ხალხის სიყვარული უკვდავია...

„ნეტავ, იქ თეატრი არის“?

გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი მსახიობი კახი კავსაძე. 86 წლის მსახიობი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ებრძოდა სიკვდილს...

კახი კავსაძე საქართველოში ყველასათვის ჭეშმარიტად სახალხო არტისტად მოიაზრებოდა, არამარტო თავისი შემოქმედებითი გზით, არამედ ცხოვრების წესით, მოქალაქეობრივი მრწამსითა და მოყვასის სიყვარულით.

შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, რუსთაველის ეროვნული თეატრის წამყვან მსახიობს, ქართული კინოს ლეგენდას, ქართული ესტრადის მშვენებას, 2008 წელს სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს მშობლიური თეატრის წინ...

დღევანდელი საქართველოს ყველაზე პოპულარული არტისტი უკვდავების ბინადარი გახდა...

მშვიდად განისვენე, დაუდგრომელო ნაღდო რაინდო!...

რახან უთეატროდ ცხოვრება არ შეგეძლო, თითქმის დარწმუნებულნი ვართ, რომ „დიდ სოფელში“ თეატრი აუცილებლად იქნება!..

სადაც შენ ხარ, სხვაგვარად წარმოუდგენელია!..

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან

86 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი კახი კავსაძე. ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა არაერთი დასამახსოვრებელი და სახასიათო როლი შექმნა და წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში. მის მიერ განსახიერებული პერსონაჟები საზოგადოებაში დიდი სიყვარულით სარგებლობენ, რაც მსახიობის შემოქმედების უპირობო აღიარებაა.

კახი კავსაძის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული კულტურისთვის. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კახი კავსაძის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს მის ოჯახს, ქართული კულტურის მოღვაწეებსა და სრულიად საქართველოს.

აშშ საელჩო:

მისი მემკვიდრეობა მარადიულია!

საქართველოში აშშ-ის საელჩო ქართველი მსახიობის, კახი კავსაძის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილს ავრცელებს.

ლეგენდარული მსახიობის, კახი კავსაძის გარდაცვალებას ბევრი ქართველი ოჯახის წევრის დაკარგვასავით განიცდის. ბატონი კავსაძის შემოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უამრავ ადამიანზე და სანაცვლოდ მიღებული სიყვარულისა და პატივისცემის მოზღვავება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი მემკვიდრეობა მარადიულია.

აშშ-ის საელჩო გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს კახი კავსაძის ოჯახს, მეგობრებსა და ყველა ქართველს, ვინც მის დაკარგვას გლოვობს.

კახა კუჭავა: პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებას არ უნდა გადაჰყვეს ხალხის და ქვეყნის ინტერესები!

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ კახა კუჭავა აირჩიეს. კახა კუჭავას კანდიდატურას 86 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ექვსი კი, წინააღმდეგი წავიდა.

„ჩვენ ერთად უნდა გავამყაროთ საერთაშორისო პარტნიორების ნდობა, რომ საქართველო ყოველთვის იქნება არჩეული კურსის ერთგული და მუდამ იქნება დასავლეთისთვის სტაბილური დასაყრდენი რეგიონში. ეს ის საქმეა, რომელსაც ერთად უნდა შევეჭიდოთ და ერთად დავდოთ სასურველი შედეგი. დღეს ჩვენი ქვეყანა ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. პირველ რიგში, მთავარი საზრუნავია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომელსაც ყოველი მხრიდან, ყოველდღიურად, ყველა შესაძლო პლატფორმის გამოყენებით სჭირდება ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა. პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება მოგვცემს საშუალებას, უფრო ეფექტიანად გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე ერთსულოვნად მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილებები“...

* * *

„მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ავიღებ სრულ პასუხისმგებლობას, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს 19 აპრილის შეთანხმება, პარლამენტში დაცული იყოს ძალთა ბალანსი, გადანაწილდეს კომიტეტები და, შესაბამისად, მოხდეს პასუხისმგებლობის გაზიარება მმართველ გუნდთან ერთად იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დღეს ჩვენს ხალხს ყველაზე მეტად სჭირდება. იმისათვის, რომ ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯი რაც შეიძლება სწრაფად აისახოს ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე — უნდა გაძლიერდეს საპარლამენტო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. უნდა გაიზარდოს მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ და გახდეს მეტად ინტენსიური და ინკლუზიური. გაძლიერდება საზედამხედველო ფუნქციით შემუშავებული საპარლამენტო რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმები. ამავე დროს, გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საჭიროა როგორც არასამთავრობო სექტორთან, ისე მედიასთან უფრო მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოება იყოს უფრო მეტად ინფორმირებული და არ დარჩეს სივრცე სპეკულაციებისა და მანიპულაციებისთვის. მნიშვნელოვნად გაიზრდება კერძო სექტორის ჩართულობა საპარლამენტო საქმიანობაში. და ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის 30-წლიანმა პერიოდმა საკმარისი გამოცდილება დაგვიგროვა, რომ ზუსტად ვიცოდეთ, — საზოგადოების პოლარიზებას და დაპირისპირებას ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ და არ დავუშვათ, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებას გადაჰყვეს ხალხის და ქვეყნის ინტერესები“, — თქვა გუშინ კახა კუჭავამ.

* * *

2021 წლის იანვრიდან კახა კუჭავა პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრია და იკავებს პარტიის საერთაშორისო მდივნის თანამდებობას. 2020 წლის დეკემბრიდან დღემდე არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი. 2016-2020 წლებში ის გახლდათ საქართველოს პარლამენტის მე-9 მოწვევის წევრი და ასევე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მოგვიანებით არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. 2016 წლიდან კახაბერი არის ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. 2012-2016 წლებში ეკავა წამყვანი პოზიციები კერძო სექტორში მოღვაწე კომპანიებში საკონსულტაციო, საინვესტიციო და სამთო-მოპოვებით სექტორებში. 2011-2015 წლებში იგი გახლდათ მსოფლიოში უდიდესი საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაცია „საერთაშორისო სავაჭრო პალატის“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

2007-2010 წლებში კახა კუჭავა გახლდათ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC)საკორპორაციო სამართლისა და კორპორაციული მართვის ექსპერტი, ხოლო 2005-2007 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „ბიზნესის გარემოს რეფორმა“ კორპორაციული სამართლის სპეციალისტი. 2005 წელს, ასევე, 2001-2004 წლებში იგი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების იურიდიული მრჩეველი გახლდათ. 2001-2004 წლებში ის დასაქმებული იყო იურიდიულ კომპანიაში „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ უფროსი იურისტის პოზიციაზე.

ირაკლი კობახიძე: „ქართული ოცნება“ უზრუნველყოფს შეთანხმების სათანადოდ აღსრულებას

დღეს საქართველოს პარლამენტისთვის მნიშვნელოვანი დღეა. სხდომას ესწრება საპარლამენტო ოპოზიციის დამატებითი წარმომადგენლობა. იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკავშირის მხარდაჭერით დადებულ პოლიტიკურ შეთანხმებას.

შეგახსენებთ, რომ ამ შეთანხმების ამოცანა გახლდათ,არა ვინმეს პარლამენტში შემოსვლა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ამოცანა და ფაქტორია, არამედ ქართულ პოლიტიკაში პოლარიზაციისა და რადიკალიზმის შემცირება, ნაკლები დესტურუქციისა და მეტი კონსტრუქციის უზრუნველყოფა. უნდა ითქვას, რომ ეს მიზანი ჯერ კიდევ მისაღწევი რჩება. ამ ფონზე კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ საქართველოში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ჩამოსვლის მიუხედავად მოლაპარაკებებში ჩართულმა ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „პატრიოტთა ალიანსმა“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ მაინც არ მოაწერეს ხელი 19 აპრილის შეთანხმებას. ისინი დღესაც არ შემოდიან პარლამენტში და ინარჩუნებენ კარვებს პარლამენტის შენობის წინ, გამოდიან შეთანხმების ცალკეული პუნქტების წინააღმდეგ, აგრძელებენ აგრესიულ რიტორიკას „ქართული ოცნებისა“ და ჩვენი ქვეყნის დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგ და დგამენ სხვა ნაბიჯებს შეთანხმების შინაარსისა და მისი სულისკვეთების საპირისპიროდ. ამით კიდევ ერთხელ ზღვარი ივლება პროდასავლურ და ანტიდასავლურ ძალებს შორის. მიუხედავად ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მიერ გადადგმული ამ დესტრუქციული ნაბიჯებისა, „ქართული ოცნება“ თავისი პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს შეთანხმების ზედმიწევნით აღსრულებას.

ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა არ შეიძლება იყოს მხოლოდ მმართველი პარტიის საზრუნავი და სუბიექტური ინტერესი. ამით დაინტერესებული უნდა იყოს ყველა პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, პოლარიზაციისა და რადიკალიზმის შემცირების საქმეში თითოეულ პარტიასა და პარლამენტის თითოეულ წევრს თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...

„გაითხოვეთ ამნისტია და ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას, დავთანხმდე ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ გირაოს“

გაითხოვეთ ამნისტია, და ამ შემთხვევაში მე, ნიკა მელია, ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას, დავთანხმდე ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ გირაოს და ამ პირობით დავტოვო საპყრობილე, — ნათქვამია ენმ-ის თავმჯდომარის ნიკა მელიას სახელით მელიას ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

მელია მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს, ამნისტიის შესახებ კანონპროექტს ხელი არ მოაწერონ.

„უნდა მივმართო ჩემს მეგობრებს ოპოზიციიდან, ვინც ხელი მოაწერა შარლ მიშელის დოკუმენტს.რუსთავის ციხის 224-ე საკნიდან უნდა უმორჩილესად გთხოვოთ, არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ მონაწილეობა ისტორიის გადაწერის სამარცხვინო მცდელობაში, რასაც 20 ივნისის გავრილოვის ღამის ამნისტია ქვია.არც მე და არც არავინ არ ღირს იმად, რომ ანტისაოკუპაციო აქციის სამარცხვინოდ დამრბევ დამნაშავე პოლიციელებს და ბრძანების გამცემებს მინიმალური შანსი მაინც მივცეთ, თავი დააღწიონ სამართლიან მართლმსაჯულებას.სრულიად ცხადია, რომ ქართული ოცნება ამ ამნისტიას გაავრცელებს ყველაზე და ყველაფერზე, და თქვენ რომც არ მისცეთ მას ხმა (რაშიც ეჭვი არ მეპარება), მაინც დისკრედიტებული გამოხვალთ ამ პროცესიდან. დაგაზიანებენ თქვენ, დააზიანებენ ოპოზიციურ ერთობას და დააზიანებენ ქვეყანას. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის თვალში, მნიშვნელოვნად დააზიანებენ მედიატორების და მათ უკან მდგომი ჩვენი მთავარი მეგობრების რეპუტაციას. კვლავ გავიმეორებ, ახლა თუ რამეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს ოპოზიციური ერთობაა. არცერთ ვითარებაში არ უნდა დავუშვათ მისი რღვევა. არ უნდა დავუშვათ ყველა მხარემ. ამიტომაც, ყველას უნდა ვთხოვო, თავი შევიკავოთ იმგვარი ქმედებებისგან, რომლებიც ამ ერთობას შეუქცევად დაზიანებას მიაყენებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთობა არის ჩვენი ერთადერთი უპირატესობა ქართული ოცნების წინააღმდეგ.ამიტომაც, გთხოვთ თქვენ და მივმართავ დოკუმენტზე ხელმომწერ ქართულ ოცნებას:გაითხოვეთ ამნისტიის საკითხი და მოხსენით იგი დღის წესრიგიდან ერთხელ და სამუდამოდ. თუ შეუძლებელია ამნისტია შეეხოს მხოლოდ ე.წ. გავრილოვის პროტესტანტებს, მაშინ ნუ იარსებებს ამნისტია საერთოდ. გაითხოვეთ ამნისტია, და, ამ შემთხვევაში მე, ნიკა მელია, ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას, დავთანხმდე ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ გირაოს და ამ პირობით დავტოვო საპყრობილე“, — ნათქვამია ნიკა მელიას სახელით გავრცელებულ განცხადებაში.

ალეკო ელისაშვილი: თან გვლანძღავდნენ და თან ერთი სული ჰქონდათ, შემოვარდნილიყვნენ პარლამენტში

ზუსტად ვიცი, რომ ყველა შემოვა, ოღონდ ახლა „ნაციონალები“ გაჭედილი არიან და რა ქნან, არ იციან... ასე ქნან — ზიანდებიან, ისე ქნან — ზიანდებიან და ძალიან წვალობენ, — ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, პარლამენტმა სრულფასოვნად უნდა დაიწყოს მუშაობა.

„რეალურად, ამდენ ხანს ყველას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, ჩვენი ლანძღვით კი არ უნდა ყოფილიყვნენ ამ თვეების განმავლობაში დაკავებულები. თან გვლანძღავდნენ და თან ერთი სული ჰქონდათ, შემოვარდნილიყვნენ პარლამენტში. კარგია, შემოვიდნენ, წყენით ლაპარაკს არ ვაპირებთ, რადგანაც ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით. პარლამენტმა სრულფასოვნად უნდა დაიწყოს მუშაობა და ხალხზე ვიფიქროთ. თუ არა და იმ ზღაპრების მოსმენა მოგვიწევს, რაც ახლა მორიგ ჯერზე მთავრობამ წარმოადგინა, რომ ისე გვაქვს ქამრები შემოჭერილი ამ ახალ პროგრამაში, გაწყვეტილი ვართ წელშიო. თუ არ გვინდა, ეს ზღაპრები ვისმინოთ, მაშინ ყველა უნდა შემოვიდეს და პარლამენტი უნდა იყოს ის სივრცე, სადაც ხალხის პრობლემებზე ვილაპარაკებთ...

რედაქციისგან: **რახან ეს ვითომ თავმჯდომარე და 20 ივნისის მთავარი დამნაშავე თვითონ ვერ გრძნობს, რა სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, ნუთუ არავინ არის ან შინაური, ან გულშემატკივარი, რომ გააგებინოს რა უბედურ დღეშიც აღმოჩნდა თავისი ბინძური პოლიტიკური ამბიციით და მოკლე ჭკუით. ჯერ ვერ დამიჭერთო, ახლა ვერ გამომიშვებთო. ჯერ გირაო არაო, ახლა ევროპამ გადამისადოს, ამნისტია არაო. არადა, ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც ნიკანორა მელია, სხვა ნამდვილ მელიებისგან განსხვავებით, ოპოზიციური ცირკის ტაკიმასხარა მელაკუდა გახდა...**

იყუჩე, ბრიყვო!

ბატონო ირაკლი, გაარღვიეთ გულგრილობის წრე!

იძულებითი ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი!

რატომ „ღია წერილი“?

— იმიტომ რომ, წერილმა, რომელიც მიმდინარე წლის 4 მარტს გამოგიგზავნეთ, თქვენამდე ვერ მოაღწია. პასუხი პირდაპირ აპარატის უფროსის, ქალბატონ სალომე გაგუასგან მივიღე (10.III.2021 წ.): „თქვენი წერილი ქ. თბილისში არსებული დავით აღმაშენებლის ძეგლისთვის ახალი ადგილის შერჩევის თაობაზე, გადაეგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს“ რეზოლუციით, „გთხოვთ განიხილოთ წერილში დასმული საკითხი თქვენი კომპეტენციის შესაბამისად და პასუხი აცნობოთ დაინტერესებულ მხარეს“. გავიდა თვეზე მეტი. „დაინტერესებულ მხარეს“ პასუხი არ მიუღია. აპარატის უფროსის პასუხში განსაკუთრებით საყურადღებოა ფრაზა „დაინტერესებულ მხარეს“, ნუთუ, დავით აღმაშენებელს საქართველოში მხოლოდ მე დავრჩი „დაინტერესებული მხარე“? ყველაფერი ეს ჩემთვის კარგად ნაცნობია. ამავე საკითხზე რვა წლის მანძილზე ანალოგიური პასუხი მივიღე ბატონი **გ. კვირიკაშვილის** და ბატონი **მ. ბახტაძის** აპარატისგან. თბილისის მერია კი პასუხისათვის საერთოდ თავსაც არ იწუხებს.

იმედგაცრუებული ვარ!

მეგონა, რომ რაღაც შეიცვალა, მაგრამ, როგორც სჩანს ყველაფერი ძველებურადაა, შეიძლება უარესადაც კი. წერილმა, რომელიც ეხება უპირველეს, მეტად მგრძნობიარე ეროვნულ საქმეს, არა თუ თქვენამდე ვერ მიაღწია, არამედ ქალბატონ ს. გაგუასაც არ წაუკითხავს, რადგანაც მის პასუხს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც წერილი ეხება. ამას მკითხველი იოლად მიხვდება თანდართული წერილიდან, რომელსაც ჩვენი ეროვნული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ დახმარებით გიგზავნით.

იქნებ, ამ „ღია წერილმა“ მოაღწიოს თქვენამდე.

ვახტანგ დავითაია,
27.IV.2021 წ.

საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

4 მარტი 2021 წ.

ბატონო ირაკლი!

დარწმუნებული ვარ, თქვენი მოღვაწეობა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე იქნება წარმატებული.

თქვენ პირველი პრემიერობის დროს განაცხადეთ: „მერიამ და საკრებულომ დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნების საკითხი უნდა განიხილოსო“.

ეს წინადადება დღესაც უაღრესად აქტუალურია. დიდი მეფის ძეგლის დიღმის სატრანსპორტო-ურბანულ ქაოსში ყოფნა შეურაცხყოფს არა მხოლოდ დიდი მეფის ხსოვნას, არამედ მთლიანად ქართველ ერს.

უცხოელი ხელოვნებათმცოდნეების მიერ „ქართველ მიქელანჯელოდ“ სახელდებული დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის და ჩემი, მისი თანაავტორი არქიტექტორის, ასევე ქართველი მოღვაწეების — მეცნიერების, მხატვრების, არქიტექტორების, სპორტსმენების, პედაგოგების, თბილისის 41 საპატიო მოქალაქის მიმართვებს, თბილისის წინა და ამჟამინდელი მერიის მიმართ, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

არსებობს პროექტი (ესკიზური სტადია) ძეგლის ახალი ადგილისათვის, რომელიც შესრულებულია ბატონი მერაბის და ჩემს მიერ. ის საუკეთესოა ადგილის პრესტიჟულობის, ხედვის წერტილების და ქანდაკების განათების თვალსაზრისით (რუსთაველის მოედნის და რესპუბლიკის მოედნის გასაყარი).

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და სატრანსპორტო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან.

2021 წლის 12 აგვისტოს სრულდება დიდგორის ომის 900 წლისთავი. ძეგლის ღირსეულ ადგილას დადგმა და საზეიმო გახსნა იქნება ამ დიდი ეროვნული დღესასწაულის გვირგვინი.

ბატონო ირაკლი!

მიუხედავად დროის სიმცირისა, თქვენი კეთილი ნებისა და მხარში დგომით, პროექტის რეალიზაცია ამ თარიღისთვის შესაძლებელია.

პროექტის გასაცნობად გთხოვთ მიღებას (15-20 წუთი) თქვენთვის სასურველ დროს.

ახლა ყოველი დღე ძვირფასია.

ღრმა პატივისცემით და ცხრაწლიანი გულგრილობის წრის გარღვევის იმედით,



ვახტანგ დავითაია,
ძეგლის თანაავტორი, რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი

არჩილ თალაკვაძე:

მიზანმიმართული ჭორია, თითქოს მე თბილისის მერის არჩევნებში ვაპირებ მონაწილეობას

— არაერთხელ ვთქვი, რომ თბილისს ჰყავს გამორჩეული მერი, რომელიც ჩვენი გუნდის წარმატებული ლიდერია და დარწმუნებული ვარ, რომ თბილისში ბევრ მოქალაქეს სურს რომ კვლავ კახა კალაძე იხილოს მერად მომავალშიც. თუმცა, პირველ რიგში ეს არის მისი გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ უახლოეს პერიოდში კამპანიის დაწყებისას საზოგადოებას წარვუდგენთ, — თქვა გუშინ არჩილ თალაკვაძემ.

არიან ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ შეთქმულების თეორიები, მოგონილი სცენარები დაიჯერონ.

ეს ის ხალხი გახლავთ, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ადამიანმა თანამდებობაზე მოსვლა ან წასვლა გადაწყვიტოს. ჩვენი გუნდის სტანდარტი გახლავთ, რომ თანამდებობები არავის თვითმიზანი არ გახლავთ...

მთავრობამ პანდემიას „მრისხანე“ შეზღუდვები დაუპირისპირა!

3-12 მაისის ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით, მუნიციპალური ტრანსპორტი არ იმოძრავებს; სადღესასწაულო დღეებში კი სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება, — ეს გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საბჭომ განიხილა ინფიცირების შემთხვევების ზრდის დინამიკა, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე — საქართველოში. აღინიშნა, რომ ინფიცირების შემთხვევებთან ერთად, მზარდია ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, როგორც დამატებითი საწოლფონდის მობილიზების, ისე მედიკამენტების, ჟანგბადის თუ ტესტების მარაგების მართვის კუთხით და აღინიშნა, რომ ყველაზე ცუდი სცენარისთვისაც კი სისტემა მზად არის, ვითარება კონტროლს ექვემდებარება და მთავრობა სრულად მართავს პროცესს.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ჯგუფების ტესტირება, მაისის განმავლობაშიც სახელმწიფო დაფინანსებით გაგრძელდება;

რაც შეეხება მოახლოებულ აღდგომის დღესასწაულს, საქართველოს საპატრიარქოსთან კომუნიკაციის შედეგად, სადღესასწაულო ლიტურგია ტაძრებში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით ჩატარდება; მათ შორის, ტაძრებში უზრუნველყოფილი იქნება გახმოვანების სისტემა, დაცული იქნება სოციალური დისტანცია და პირბადის მოხმარების წესი;

ამასთან, გამონაკლისის სახით, სააღდგომო ლიტურგიასთან დაკავშირებით, გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა, მხოლოდ ერთი ღამით, იმოქმედებს 1-ლი მაისის 23:00 საათიდან 2 მაისის 04:00 საათამდე;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება; ჩაიკეტება სასაფლაოებთან მისასვლელი გზები;

როგორც ცნობილია, 4-11 მაისი საქართველოში გამოცხადებულია უქმე დღეებად, რაც მობილობის შემცირებას ისახავს მიზნად. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 3-დან 12 მაისის ჩათვლით, შეიზღუდება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა; პარალელურად, ვაქცინაციის ეროვნული გეგმის შესაბამისად, აქტიურად გაგრძელდება ვაქცინაციის პროცესი.

იმუნიზაციის მსოფლიო კვირეულთან დაკავშირებით, მიმდინარე კვირიდან ვაქცინაციის პროცესში ჩაერთვებიან საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები; შესაბამისი უწყებების მხრიდან კვლავ გრძელდება ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების აღსრულების მკაცრი კონტროლი;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს არსებულ ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების დეტალური ანალიზის შედეგად მიიღებს.

„სინოფარმით“ ვაქცინაციას 18 წელს ზემოთ მოქალაქენი შეძლებენ

იმუნიზაციის ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებით, „სინოფარმით“ ვაქცინაციისთვის ასაკობრივ ზღვრად 18 წელი განისაზღვრა. ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის ინფორმაციით, ამ პრეპარატით ვაქცინაციისთვის რეგისტრაციის ფანჯარა უკვე გაიხსნა.

ახლა კლინიკური ჯგუფთან ერთად გაფართოებული სხდომა იგეგმება, სადაც უნდა გაირკვეს დაიწევს თუ არა ასაკობრივი ზღვარი „ასტრაზენეკას“ ვაქცინაციის შემთხვევაში. რაც შეეხება მასობრივ ვაქცინაციას, ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ამ პროცესის დაწყებისთვის დამატებითი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, რომელიც უახლოე მომავალში იქნება.

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედი „მეხუთე კოლონა“, რომელსაც დროულ გაუვნებელყოფა სჭირდება

(პირველი გვერდიდან) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გავლილი 30 წლის განმავლობაში **მოსახლეობის შემცირების მასშტაბით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პირველ ადგილზეა**. შედარებისთვის: ჩვენს მეზობელ სომხეთში, აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობა მხოლოდ 10 პროცენტითაა შემცირებული, ხოლო აზერბაიჯანში, პირიქით – 42 პროცენტითაა მომატებული. დღეისთვის **მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში, ყველა მის სახმელეთო მეზობელთან შედარებით, დაბალია**. საქართველო ამ მაჩვენებლით ჩამორჩება: სომხეთს - 43 პროცენტით, თურქეთს – 46 პროცენტით, აზერბაიჯანს – 51 პროცენტით, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩეჩნეთსა და დაღესტანს – 17 პროცენტით.

ფაქტობრივად, ბოლო ორ საუკუნეში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ და მეორე მსოფლიო ომების პერიოდებს), საქართველოში 2020 წელს დადასტურდა უპრეცედენტო ფაქტი: ჩვენს ქვეყანაში მოკვდაობის მაჩვენებელმა, პირველად გადააჭარბა შობადობის დონეს, **თანაც საგრძნობლად – მთელი 8.6 პროცენტით (4017-ით), რაც გასულ წელს თვით ეკონომიკური ვარდნის მასშტაბებსაც (-6.1%) კი აღემატება!**

უკვე მეექვსე წელია, შობადობის მაჩვენებლები წლიდან წლამდე კლებულობს და 2020 წელს მხოლოდ 46520 შეადგინა. ეს წინა წელთან შედარებით 3.7 პროცენტით (1776 ბავშვით), ხოლო 2014 წელთან შედარებით – 23.3 პროცენტით (14115 ბავშვით) ნაკლებია. **2015-2020 წლებში შობადობის 2014 წლის მაჩვენებლის დონეზე შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოში ფაქტობრივთან შედარებით შეიძლება დაბადებულიყო 48745 ბავშვით მეტი**. ეს იმის ეკვივალენტურია, საქართველოში ბოლო ექვს წელიწადში ერთი წლის მანძილზე არც ერთი ბავშვი რომ არ დაბადებულიყო.

ბუნებრივია, შობადობის შემცირებაზე სერიოზული გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიამ და ამით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. მძიმე ეკონომიკური სიტუაცია, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, დეპრივაცია, მკვეთრად ამცირებს შობადობის მოტივაციას და დინამიკას. ამის მკაფიო მაგალითია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, ახალ ეკონომიკურ და სოციალურ რეალობასთან ადაპტაციის უმძიმეს პერიოდში, მათში შობადობის დონე 5-ჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე ენგურსაქეთა საქართველოს ამ მხრივ ისედაც არც თუ სახარბიელო საშუალოდ დონესთან შედარებითაც კი.

შობადობის კლების ფონზე მოკვდაობის მაჩვენებელი 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა (8.3 პროცენტით – 3878 კაცით). ამგვარი მატება არ უკავშირდება მხოლოდ კოვიდ19-ის პანდემიას. ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს **კოვიდინფექციით გარდაიცვალა 2528 პირი, რაც გარდაცვალებით საერთო მატების 65.2 პროცენტია**. დანარჩენი მატება (+1350), ძირითადად უნდა მივაკუთვნოთ პანდემიითა და დამძიმებული ეკონომიკური სიტუაციით გამოწვეული სტრესებით შექმნილ ნეგატიურ ფონს, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე და წარმოადგენს ლეტალური შემთხვევების დადგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ ფაქტორს.

შესაბამისად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის 2019 წლის დადებითი (+1637) სალდო (სხვაობა დაბადებათა და გარდაცვალებათა შორის) 2020 წელს შეიცვალა უარყოფითი სალდოთი (-4017).

დემოგრაფიულ ვითარებას ამძიმებს კიდევ ორი გარემოება:

გრძელდება ქორწინების საშუალო ასაკის მატება. აღნიშნული ასაკი ბოლო 100 წლის მანძილზე თითქმის 11 წლით გაიზარდა, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის აღწარმოების ტემპსა და საშუალო (მედიანურ) ასაკზე. ამასთან, პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისათვის (28.1 წელი), 2.3 წლით აღემატება დედის საშუალო ასაკს პირველი ბავშვის დაბადებისას (25.8 წელი). ეს სხვაობა ბოლო 15 წლის განმავლობაში 1.5-ჯერ გაიზარდა, რაც ძირითადად აიხსნება იმით, რომ სულ უფრო მეტი წყვილი არ ჩქარობს ფაქტობრივი თანაცხოვრების ოფიციალურ რეგისტრაციას და, უკეთეს შემთხვევაში, საეკლესიო ქორწინებით შემოიფარგლება.

საქართველოში **ნარჩუნდება 1990-იან წლებში ჩამოყალიბებული უარყოფითი მიგრაციული სალდო** – ქვეყნიდან გადის მეტი ადამიანი, ვიდრე შემოდის. ამასთან, საქართველოდან გადიოდნენ და გადიან ყველაზე შრომისუნარიანი, ამბიციური, კრეატიული ადამიანები. 20-დან 50 წლამდე ასაკის პირების წილი თუ საქართველოს მოსახლეობაში მხოლოდ 42 პროცენტია, **ქვეყნიდან გასულთა შორის 85 პროცენტს აღემატება. საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის საშუალო ასაკი ქვეყნიდან გასულების საშუალო ასაკზე 7 წლით მეტია,** რაც სერიოზულ რეპროდუქციულ დისბალანსს ქმნის. – უკვე მასობრივი ხასიათი აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ ეთნიკური ქართველი ქალ-ვაჟების მიერ ოჯახების შექმნას, სადაც დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ უკვე ორჯერ გადააჭარბა ქუთაისის ამჟამინდელი მოსახლეობის ფაქტობრივ რიცხოვნობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეების უარყოფითი მიგრაციული სალდოს ფონზე საპირისპირო ტენდენციით ხასითდება სხვა ქვეყნის მოქალაქეების მობილური აქტიურობა საქართველოში. წლიდან წლამდე საქართველოში შემოდის სულ უფრო მეტი უცხოელი, ვიდრე გადის. შედეგიც სახეზეა: **2012-2019 წლებში საქართველოდან გავიდა 181.1 ათასით მეტი საქართველოს მოქალაქე, ვიდრე შემოვიდა; „სამაგიეროდ“ იმავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა 117.7 ათასით მეტი სხვა ქვეყნის მოქალაქე, ვიდრე გავიდა**. 2019 წლის ბოლოსათვის 2012 წელთან შედარებით საქართველოში იმყოფებოდა: რუსეთის ფედერაციის 33.3 ათასით მეტი მოქალაქე, თურქეთის, შესაბამისად, 15.3 ათასით მეტი, ირანის – 11.3 ათასით, ინდოეთის – 7.4 ათასით, აშშ-ის – 3.0 ათასით და ჩინეთის – 1.4 ათასით მეტი მოქალაქე.

ხაზს ვუსვამ, რომ აქ საუბარია იმაზე, **თუ რამდენით მეტია** სხვა ქვეყნის მოქალაქეები და არა იმას, თუ **რამდენნი არიან** ისინი საქართველოში...

თუ უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებს მხოლოდ უტილიტარული კუთხით არ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ფულადი გზავნილების ზრდა უცხოეთიდან საქართველოში მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოდან ბევრი მიგრანტია გასული, არამედ იმასაც, რომ ამით ქვეყნიდან გასული ჩვენი თანამემამულენი ხაზს უსვამენ თავიანთ ეკონომიკურ და ემოციურ კავშირებს საკუთარ სამშობლოსთან, არ წყვეტენ მასთან ურთიერთობებს და, უფრო მეტიც, თავიანთ მომავალს ისევ და ისევ თავის ქვეყანას, სამშობლოში დაბრუნებას, აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს და ახლობლებს, მათთან ერთად და მათში სიცოცხლის გაგრძელებას უკავშირებენ.

საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 38.6 წელია, რაც საგრძნობლად აღემატება ჩვენი **ყველა** სახმელეთო მეზობლის ანალოგიურ მაჩვენებლებს (თურქეთში მოსახლეობის მედიანური ასაკი 32.2 წელია, აზერბაიჯანში – 32.9 წელი, სომხეთში – 36.6 წელი, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩვენს მოსაზღვრე ჩეჩნეთში – 28.7 წელი, ინგუშეთში კი – 31.6 წელი). ჩინეთი, რომლის მოსახლეობის მედიანური ასაკი 37.4 წელია (საქართველოზე 1.2 წლით ნაკლები!), ისე შეაშფოთა ამ მაჩვენებლის მაღალმა დონემ, რომ 2016 წელს მან უარიც კი თქვა 1980-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედ პოლიტიკაზე: „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“ და საყოველთაოდ ნება დართო ოჯახებს აკრძალვების გარეშე მეორე ბავშვის გაჩენაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას მართებს უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლად.

ამ კუთხით ფასდაუდებელია ეკლესიის როლი: საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით უკვე ჩატარდა 60-ზე მეტი საყოველთაო ნათლობა და მოინათლა ოჯახებში რიგით მესამე და მომდევნო 45 ათასამდე ბავშვი, რომელთა მშობლები იმყოფებიან კანონიერ საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინებაში. ამ ინიციატივის წყალობით ბოლო წლებში დაბადებულთა საერთო რაოდენობაში უკვე ორჯერ გაიზარდა მესამე და მომდევნო ბავშვთა წილი.

იმისათვის, რომ შენელდეს ქვეყნის მოსახლეობის შემცირება, **აუცილებელია მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაცია** (უარყოფითი მიგრაციული სალდოს, რომელიც ბოლო წლებში საშუალოდ 23-25 ათასს შეადგენს, სულ ცოტა, განახევრება) და შობადობის მატება. მოსახლეობის ამჟამინდელი დემოგრაფიული ქცევის მოდელის არსებობის პირობებში ნაკლებად სავარაუდოა, რომ შობადობის რეკორდული 1962 წლის დონე გამეორდეს (ასე რომ ყოფილიყო, 2020 წელს საქართველოში 46 ათასის ნაცვლად, სულ ცოტა, 89 ათასი ბავშვი უნდა დაბადებულიყო), თუმცა შობადობის წლიური მაჩვენებლის გაზრდა 60-65 ათასამდე სავსებით შესაძლებელია.

რა შეიძლება გვაძლევდეს დემოგრაფიის სფეროში პოზიტიური ცვლილებების იმედს?

ვფიქრობ, სახელმწიფოს უფრო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობასთან ერთად, სულ ცოტა, საგულისყუროა კიდევ ორი გარემოება.

ჯერ ერთი, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, **განქორწინებათა რაოდენობა შემცირდა თითქმის 1/3-ით** (-31.8%); ასევე, შემცირდა განქორწინებათა რაოდენობა ყოველ 100 ქორწინებაზე. შედარებისათვის: რუსეთში განქორწინებათა რაოდენობა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა 9.1 პროცენტით, ხოლო თურქეთში – 10.1 პროცენტით. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან პანდემიის პირობებში მრავალ ქვეყანაში სოციალური მობილურობის შეზღუდულობის პირობებში ბევრმა ოჯახურმა წყვილმა ვერ გაუძლო ერთიან „ჩაკეტილ სივრცეში“ უწყვეტ ყოფნას, გამოიწვია აგრესია და ოჯახების დაშლა, განქორწინებათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. რუსეთში, მაგალითად, გასული წლის მეორე ნახევარში განქორწინებათა რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც 6.1 პროცენტით. საქართველოში ამგვარი ტრენდი, საბედნიეროდ, არ ჩამოყალიბებულა (საქართველოში განქორწინებათა რაოდენობა 2020 წლის მეორე ნახევარში შემცირდა 28.4%-ით).

მეორე, საქართველოდან გასული მოსახლეობის მიერ ფულადი სახსრების გადმორიცხვა სამშობლოში ბოლო წლებში ორნიშნა რიცხვებით იზრდება. – ამ თანხამ 2020 წელს უკვე თითქმის 1.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (მთლიანად, მხოლოდ 2012 წლის შემდეგ უცხოეთიდან ჩვენი თანამემამულეების მიერ სამშობლოში განხორციელებულმა ტრანზაქციებმა 12.0 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა).

ერთი შეხედვით, რა კავშირი აქვს ფულად ტრანზაქციებს დემოგრაფიულ პრობლემებთან?

თუ უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებს მხოლოდ უტილიტარული კუთხით არ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ფულადი გზავნილების ზრდა უცხოეთიდან საქართველოში მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოდან ბევრი მიგრანტია გასული, არამედ იმასაც, რომ ამით **ქვეყნიდან გასული ჩვენი თანამემამულენი ხაზს უსვამენ თავიანთ ეკონომიკურ და ემოციურ კავშირებს საკუთარ სამშობლოსთან, არ წყვეტენ მასთან ურთიერთობებს და, უფრო მეტიც, თავიანთ მომავალს ისევ და ისევ თავის ქვეყანას, სამშობლოში დაბრუნებას, აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს და ახლობლებს, მათთან ერთად და მათში სიცოცხლის გაგრძელებას უკავშირებენ.**

ამაში კი ნამდვილად არ შეიძლება გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი არ დავინახოთ.

საქართველოს მოსახლეობას, მის ისტორიულ მეხსიერებას, გენეტიკურ კოდს ნამდვილად აქვს საკმარისი რესურსი, რომ არსებულ დემოგრაფიულ საფრთხეს ადეკვატური პასუხი გასცეს.

იოსებ არჩვაძე
2021 წლის აპრილი
ტელ. 599 32 18 98

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ...

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲖᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

რამ გამოიწვია და რატომ გახდა აუცილებელი, რომ მმართველ პარტიაში როტაცია მომხდარიყო? სრულიად მოულოდნელად, პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც მთელი ამ 6 თვის განმავლობაში ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში იყო ჩართული და **შარლ მიშელის** საბოლოო დოკუმენტსაც ხელი მოაწერა, თანამდებობიდან საკუთარი სურვილით წავიდა. მან ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე გადაინაცვლა, მისი ადგილი კი ყოფილმა ვიცე-სპიკერმა **კახა კუჭავამ** დაიკავა.

მმართველი პარტიის ოფისში, უმრავლესობა **არჩილ თალაკვაძის** თანამდებობის დატოვების არგუმენტებს ისმენდა. უკვე სხდომის შემდეგ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე კი თალაკვაძემ საზოგადოებას განუმარტა, რომ მისი ადგილი დარბაზშია, კოლეგების გვერდით და არა – სპიკერის პოზიციაზე.

თალაკვაძის მოულოდნელი წასვლის შესახებ კი არაერთი ვერსია გაჩნდა. For.ge-ს რამდენიმე წყარო, როტაციის სხვადასხვა მიზეზებს უსახელებს. მაგალითად „ოცნების“ შიგნით საუბრობენ, რომ თალაკვაძის კუჭავათი ჩანაცვლების აუცილებლობა იმან გამოიწვია, რომ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ, „ოცნება“ დასავლეთის მიმართულებით მუშაობას კიდევ უფრო გააძლიერებს, კუჭავას კი, გუნდის შიგნით, სწორედ, შესაფერის კანდიდატად მოიაზრებენ. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმად „ოცნების“ შიგნით ძალთა შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება და ამ დაპირისპირებაში **ირაკლი ღარიბაშვილის** გუნდი ძლიერდება. შესაბამისად, თალაკვაძე პრემიერის გუნდს შეუერთდა. არსებობს მესამე ვერსია, რომ თალაკვაძეს ქალაქის მერობის კანდიდატად ამზადებენ. **კახა კალაძეს**, დიდი ალბათობით, პოლიტიკაში დარჩენა აღარ სურს. ის ამის მიზეზად ჯამრთელობის მდგომარეობას დაასახელებს და კენჭისყრაზე უარს იტყვის. სწორედ თალაკვაძე იქნება ის სათადარიგო ფიგურა, რომელსაც „ოცნება“ თამაშში ჩართავს.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ოპონენტებს, მათ როტაციის შემდეგ განსაკუთრებული მოლოდინი არ აქვთ, რადგან თვლიან, რომ მმართველ გუნდში რღვევა ისედაც დაწყებული იყო. კონკრეტულად ამ ცვლილების შესახებ კი ფიქრობენ, რომ ოპონენტებს შორის მოლაპარაკებებისას თალაკვაძის პოზიციით „ქართული ოცნება“ უკმაყოფილო დარჩა.

აღსანიშნავია, რომ საკადრო ცვლილებებს „ოცნების“ გუნდში წინ პარტიის თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძისა** და **კახა კუჭავას** ამერიკაში და ევროპაში ვიზიტები უძღოდა. პარტიის ოფისში ვიზიტის შედეგების განხილვის შემდეგ, მე-10 მოწვევის პარლამენტში ცვლილებების გადაწყვეტილება მიიღეს.

„ქართული ოცნების“ პირობებში ერთი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარის ცვლილება მეორედ მოხდა. წინა შემთხვევაში, 20 ივნისის მოვლენებისას, თანამდებობა ირაკლი კობახიძემ დატოვა.



ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ არჩილ თალაკვაძის გადადგომა ლოგიკას არის მოკლებული და რთული სათქმელია, რეალურად ამ როტაციის უკან რა დგას. ძაბირაძე აბობს, რომ განცხადება ცოტა გაუგებარი იყო, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობა ნეიტრალურმა ადამიანმა უნდა გააგრძელოს. მისი აზრით, რაღაცა ლოგიკურად არ გამოდის, რადგანაც თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, მაშინ თალაკვაძეს უნდა დაეგვირგვინებინა, რადგანაც მან ნიუანსები უფრო უკეთესად იცის.

„რაც შეეხება ოპოზიციის არგუმენტებს, რომ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის გამო ივანიშვილი განაწყენდა და თალაკვაძე დასაჯა, ცოტა ლოგიკას მოკლებულია. ჯერ ერთი, რომ თუ ივანიშვილი ისევ აქტიურად ერევა პოლიტიკაში და თუ არ უნდოდა, ამ დოკუმენტს ხელს ვერავინ მოაწერდა. მეორეც, აქ მარტო თალაკვაძის პასუხისმგებლობა არ იქნება, რადგან მაშინ ამას უკან პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უნდა მიჰყვეს. ასევე ამ დოკუმენტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ თალაკვაძემ კი არ აიღო, არამედ მთელმა გუნდმა და პარტიამ. ამიტომ აქ ვერ გავიგე, თალაკვაძე რადგან წავა, დოკუმენტის პირობები რატომ ვერ შესრულდება? ოპოზიცია თავს იტყუებს თუ მართლა სჯერათ, რასაც ამბობენ! არც ის ვიცი, შიდა კულუარებში რა ხდება და ვინ ვისთან არის დაპირისპირებული. თუმცა ფაქტი ერთია, თალაკვაძის გადაყენება უცნაურია. კი ბატონო, მეც გავიგე ასეთი ვერსია, რომ თალაკვაძე შესაძლოა, თბილისის მერობის კანდიდატად ვიხილოთ. სავარაუდოდ, კალაძე მერობაზე კენჭისყრას აღარ მოისურვებს და თალაკვაძე რამდენიმე თვით ადრე წინასაარჩევნო კამპანიაში უკვე ჩაებმება“, – აცხადებს ძაბირაძე.

მისივე თქმით, საზოგადოების დიდ ნაწილში არჩილ თალაკვაძის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არ არის, ამიტომაც ცუდი არ იქნება, რომ ის მერობის კანდიდატად დასახელდეს. ანალიტიკოსს არ დარჩა შთაბეჭდილება, რომ პარტიაში რაღაცა დაპირისპირებას აქვს ადგილი. მისი აზრით, ეს შესაძლოა განპირობებული იმით იყოს, რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვის ძალების გაძლიერება ხდება – ტაქტიკური გადაჯგუფება, რომელიც მომავალ სტრატეგიას უკავშირდება.

ანალიტიკოსი **ვლადიმერ ბოჟაძე** კი იმ ვერსიას უფრო იზიარებს, რომ კახა კუჭავას პარლამენტის თავმჯდომარედ დანიშვნა, მით უმეტეს ამ კრიზისულ სიტუაციაში, სწორი ტაქტიკური სვლაა. ბოჟაძე ამბობს, რომ კუჭავა სწორედ ის ფიგურაა, რომელმაც ჩუგოშვილის და „ოცნების“ სხვა წევრების წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, დასავლეთთან კომუნიკაციის კუთხით ახალი გზა გაკვალა. თითქმის დაშლისთვის განწირული პარტიიდან იმდენი მოახერხა, რომ დასავლეთს ქვეყანაში არსებული რეალური სურათი დაანახა. ამიტომ, ის არის ერთ-ერთი ძლიერი ფიგურა, რომლის ნეიტრალურობა შექმნილ სიტუაციაში ძალიან საჭირო და აუცილებელია.

„ოპოზიცია საკმაოდ ბევრ ვერსიებს ყვება. რა თქმა უნდა, მეც არა ერთი ჭორი თუ ვერსიები მოვისმინე, მაგრამ ერთი, რაც ლოგიკურად მიმაჩნია, ისაა, რომ ახლა ხელისუფლებას დასავლეთთან ურთიერთობისთვის უფრო ძლიერი ფიგურა სჭირდებოდა. კუჭავა სწორედ ის ადამიანია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულად მუშაობდა. როგორც ჩანს, თალაკვაძემ ჩათვალა, რომ ახლა ამ პროცესებში ჯობია ის ადამიანი ჩაერთოს, რომელიც უფრო ნეიტრალური ფიგურა იქნება. კუჭავას დანიშვნამ, შესაძლოა, ბრიუსელში და ვაშინგტონში კიდევ უფრო დამატებითი გარანტიები შექმნას იმისთვის, რომ ის შარლ მიშელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს პირნათლად შეასრულებს. არაა გამორიცხული, მისი კანდიდატურა ამ მოტივითაც შეირჩა. გახსოვთ, ალბათ, როცა „ოცნება“ ლამის დაიშალა და პარტიიდან ხულორდავა, ჩუგოშვილი და სხვები წავიდნენ, კუჭავამ ეს სივრცე მაშინვე შეავსო. მე არ მაქვს უფლება, რომ არჩილის პოზიციას არ ვენდო“, – ამბობს ბოჟაძე.

მისივე თქმით, ოპოზიციის ვერსია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ მოლაპარაკებიდან რამე წააგო, აბსურდია, რადგან მოცემული დოკუმენტით მოგებული ვერავინ დარჩებოდა. შესაბამისად, შარლ მიშელის დოკუმენტი არჩილ თალაკვაძის არც დაწერილია და ხელი მასზე არც მხოლოდ მას მოუწერია. მან პასუხისმგებლობა გუნდთან ერთად აიღო და თალაკვაძესთან ერთად მის შესრულებაზე პასუხს მთელი პარტია და მისი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აგებენ. ამნისტიაც კი მათთვის წამგებიანი პოზიციაა, ამიტომაც ყველანაირად ცდილობენ, მელია გარეთ სხვა ფორმით გამოიყვანონ. ამიტომ ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ საკუთარ არალოგიკურ ვერსიებში ოპოზიცია თავადვე გაიხლართა.

– რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ თალაკვაძე, შესაძლოა, თბილისის მერად დასახელდეს, ნამდვილად ვერაფერს ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ერთი ისაა, რომ ჯერ კალაძეს მსგავსი არაფერი უთქვამს. ის საკმაოდ ძლიერი კანდიდატურაა და არ ვიცი, ალბათ, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ. ნიკა მელია თუ იქნება მერობის კანდიდატი, კალაძე მას პირველივე ტურში მოუგებს.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲠᲘᲧᲘᲡ ᲓᲝᲥᲔᲑᲘ“ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ!

– 109 ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ გაიყიდა პირველივე აუქციონზე და ისეთი ძლიერი ინტერესი იყო, რომ კონკურენციის შედეგად ჯამში 41 მილიონის საწყისი ღირებულების პაკეტი ავიდა 60 მილიონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თითო ობიექტზე, უმეტეს შემთხვევაში იყო ერთზე მეტი დაინტერესებული პირი. 109 ობიექტის გაყიდვა პირველივე 2 კვირაში, ძალიან კარგი შედეგია, თუმცა გვაქვს გარკვეული ობიექტები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს არის აშენებული და არარეალურად მაღალი თანხებია დახარჯული ამ ობიექტების შექმნაში. ჩვენ ჩვენი კანონმდებლობით ვალდებულები ვართ, რომ საწყისი ღირებულება დავიწყოთ იმ საბალანსო ღირებულებიდან, რაც თავის დროზე ეს დაჯდა. ეს ხალხის ფული იყო, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი. ჩვენ ყველანი ერთად ვხედავთ, რომ მთელი რიგი აუქციონების შემდეგაც იგივე რიყის დოქები გაუსხვისებელი რჩება. იმთავითვე ჩანს, რომ ის თანხები თავის დროზე საბაზრო მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. თუ დავინახავთ, რომ თანხა არარეალურია, გადავხედავთ ამ თანხებს. აუცილებლად მოხდება ფუნქციის მონახვა და სწორი საბაზრო ღირებულების პოვნა, – თქვა ნათია თურნავამ.

ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ!

2021 ᲬᲚᲘᲡ პირველ კვარტალში, საქართველოდან მსოფლიოს 52 ქვეყანაში 19 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 44 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: ჩინეთი – 29% (959,040 ბოთლი); ლიეტუვა – 38% (245,940 ბოთლი); აშშ – 3% (237,878 ბოთლი); ესტონეთი – 22% (161956 ბოთლი); იაპონია – 11% (51346 ბოთლი); და დიდი ბრიტანეთ – 2% (117118 ბოთლი). ექსპორტის რაოდენობა ასევე მზარდია: კანადაში – 31% (67,770 ბოთლი); ყაზახეთში – 57% (793,114 ბოთლი); ისრაელში – 56% (131,626 ბოთლი), აზერბაიჯანში – 66% (87,449 ბოთლი); თურქეთში – 115% (30,930 ბოთლი).

სხვადასხვა მოცულობის ქართული ღვინის ექსპორტი 205-მა კომპანიამ განახორციელა. პანდემიის მიუხედავად, როგორც 2020, ისე მიმდინარე წელს, მარკეტინგული ღონისძიებები, ძირითადად, დისტანციურ ფორმატებში იმართება, რათა ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ბოლო წლების ტენდენცია შენარჩუნდეს.

ჯამში, საქართველოდან ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 73 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი, რაც 4%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ქვეყანაში ერთი წელია პანდემიაა. უამრავი ადამიანი უმუშევარი და შემოსავლების გარეშე დარჩა. თითქმის ოჯახი არ არის საქართველოში, ვისაც ბანკში სესხი არ აქვს, ან არ ჰქონია. იმის მიუხედავად, რომ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს სესხის გადახდა უჭირთ, საბანკო სისტემა დათმობაზე არ მიდის და პროცენტს პროცენტზე ამატებს. როგორც ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის დამფუძნებელმა და ადვოკატმა ოთარ კაჭკაჭაშვილმა გვითხრა, პანდემიის დროს ბანკებმა ე.წ. სამთვიანი შეღავათის პერიოდში, პირიქით სამმაგი მოგება ნახეს.

მოქალაქეებს კი ძველ სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებითაც აქვთ პრობლემები და ამ ვალების დასაფარად მათ ე.წ. ამომღები კომპანიები ურეკავენ და ვალის დასაფარად აშანტაჟებენ კიდეც.

როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე ამ შემთხვევაში, რა ბერკეტებით უნდა იმოქმედოს და როგორ იცავს მას კანონი, სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებულ ამ კითხვებზე ადვოკატი ოთარ კაჭკაჭაშვილი გვესაუბრა.

პანდემიის ჟამს ცბიერმა ბანკირებმა სამმაგი მოგება ნახეს!



— ე.წ სესხების ამომღები კომპანიები 2018 წელს „ფონდი ქართუს“ მიერ განულებულ სესხებს მოქალაქეებს კვლავ სთხოვენ, რა ბერკეტი არსებობს იმისთვის, რომ მოსახლეობამ თავი დაიცვას?

— თქვენი კითხვა რამდენიმე ნაწილად უნდა დავყო და ისე უნდა გაგცეთ პასუხი. 1. განულებული სესხების სამართლებრივად როგორ მოხდა, ერთი საკითხი ეს არის. 2. მოქალაქე ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს და 3. რამდენად სწორია ამომღები კომპანიების ქმედებები და რამდენად ჯდება სამართლებრივ ჭრილში.

დავიწყოთ პირველით — შეიქმნა პორტალი vali.ge, სადაც გარკვეული დავალიანებების მქონე ადამიანების ვალების ჩამოწერა მოხდა. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მაქვს ინფორმაცია, რა სახით მოხდა განულება — ამ ორგანიზაციამ ბანკებს გადაუხადა დავალიანება, ანუ მოხდა მესამე პირთა მიმართ დავალიანების დაფარვა, თუ თავად ბანკებმა ფონდთან მოლაპარაკების შედეგად ადამიანებს აპატიეს დავალიანება. ეს ჩემთვის ბუნდოვანია და არ ვიცი. თუმცა, ორივე შემთხვევას განვმარტავ. თუ მოხდა განულება ან მესამე პირის მიერ პატიება, მაშინ გამოდის, რომ ერთიც და მეორეც მომხმარებლისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო — რაიმე შეთანხმების, წერილის საფუძველზე. ეს ერთგვარად აღმოფხვრიდა გაურკვევლობას, რომელიც მომხმარებლებში არსებობს და იმ შეღავათებთან წვდომა ექნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მომხმარებელს რომელსაც დავალიანება ჰქონდა, ცალსახად ეცოდინებოდა, რომ მის მიმართ ამ გზით ვალის პატიება მოხდა. მაგალითად, ფონდმა „ქართუმ“ „თიბისი ბანკს“ დავალიანება გადაუხადა, შესაბამისად, მას წერილი აქვს და თუკი ვინმე გამოჩნდება და მას ახლიდან მოსთხოვს დავალიანების დაფარვას, მას შეუძლია დოკუმენტი წარუდგინოს. ან, ბანკისგან ექნებოდა წერილი, რომ მას დავალიანება აპატია. შესაბამისად, ამ დოკუმენტების არქონამ გამოიწვია ის გაუგებრობა, რაც ახლა სახეზე გვაქვს. ჩვენთან მომართვიანობა ძალიან ხშირია, როდესაც მოქალაქეები რეკავენ, თუ როგორ შეამოწმონ, მათი დავალიანება არსებობს თუ არა. ეს საიტი დღეისთვის აღარ ფუნქციონირებს. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, რომ კონკრეტულმა პირმა უნდა მიწეროს ფონდ „ქართუს“ ან კონკრეტულ ბანკს თუ მიკროსაფინანსოს კითხვით: „ხომ არ მოხდა მათი დავალიანების განულება, ან დაფარვა“, კონკრეტული პასუხის მიღების შემდეგ, იმოქმედოს ადეკვატურად. თუ ბანკმა ინფორმაცია არ მიაწოდა, მაშინ რეგულაცია მოქმედებს ეროვნული ბანკის მხრიდან, რომელიც ბანკს ავალდებულებს, რომ მოქალაქესთან სწორი კომუნიკაცია ჰქონდეს. თუ ბანკსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია არ შედგა, მაშინ ეს სუბიექტი დაჯარიმდება. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ეროვნული ბანკის მხრიდან ლიცენზირებულები არ იყვნენ და მათ სესხების გაცემის უფლება ჰქონდათ.

— თუ ამ მიკროსაფინანსოებს ეროვნულ ბანკში ლიცენზია არ ჰქონდათ, როგორ გასცემდნენ სესხებს?

— იმ დროს არსებული კანონმდებლობა იძლეოდა საშუალებას, რომ სესხის გაცემის უფლება ჰქონოდა არასპეციალიზირებულ საფინანსო ორგანიზაციას. დღეს ასეთი კანონი არ არსებობს. დღეს ვისაც ამ სფეროში მოღვაწეობა სურს, უნდა გაიაროს სპეციალური ლიცენზირება და ეროვნული ბანკის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

მესამე საკითხი იყო, როგორ ვიმოქმედოთ, როდესაც გაურკვეველი ობიექტები ინტენსიურად რეკავენ ახლობლების ნომრებზე და შანტაჟს ახორციელებენ? ამ დროს მომხმარებელმა საგამოძიებო ორგანოს უნდა მიმართოს და დაიწყოს მინიმუმ მუქარისა და შანტაჟის კუთხით გამოძიება. ასევე პერსონალური ინფორმაციების გაცემის კუთხით მოქალაქემ უნდა მიმართოს პერსონალური დაცვის ინსპექციას. ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფომ ამდაგვარი ქმედებები უნდა აღმოფხვრას.

— ამ სესხების ამომღებ კომპანიებს ვინმე აკონტროლებს, რაიმე რეგულაციები მოქმედებს?

— აქაც სამოქალაქო კანონმდებლობა აწესებს დაშვებას, რომ ერთმა პირმა შეიძლება მეორე პირს მიყიდოს აქტივები და ეს აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. თუმცა, არაა ნორმალური მოვლენა, როდესაც ვაწყდებით შემთხვევას, როდესაც რეკავენ მეზობლებთან, ნათესავებთან, იწერებიან სოციალურ ქსელში და საუბრობენ იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც მსესხებელსა და კომპანიას შორის არის დადებული. თუმცა, ვალის გაყიდვა, გადაკისრება ნორმალურია და სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს.

— არის მიკროსაფინანსოები, რომლებიც ეროვნულ ბანკში აღარ არიან რეგისტრირებულები. ეროვნულმა ბანკმა ჩვენ მოგვწერა, რომ ასეთია „ვივუსი“ და „ნეტკრედიტი“. გასაგებია, რომ აქტივების გაყიდვა დასაშვებია, მაგრამ ამომღებ კომპანიებს აქვთ უფლება, რომ არარსებული მიკროსაფინანსოების სესხები მოითხოვონ?

— არარსებული კომპანია, ასეთი ტერმინი არ არსებობს. შეიძლება გადაკეთდა, ან სახელწოდება შეიცვალა. თუმცა, ნებისმიერი კომპანიის გარკვეულ პერიოდში დაგროვილი აქტივები, რომელიც მესამე პირის მიმართ აქვს მოთხოვნად, აქტივებად ითვლება. უბრალოდ, რეკონსტრუქცია მოახდინა და სხვა კომპანიას გადასცა. მართალია, ეროვნული ბანკი ახლა უკრძალავს ახალი სესხების გაცემას, მაგრამ აქტივების სახით რაც დააგროვა კომპანიამ, იმის ამოღების უფლება არ წაურთმევია.

— მაგალითად, მოქალაქემ დაახლოებით 2016 წელს რომელიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან ან ბანკიდან აიღო სესხი, მაგრამ ეს ამომღები კომპანიები ახლა სთხოვენ სესხის დაფარვას. შეუძლია მოქალაქეს არ გადაიხადოს, რადგან ჩათვალოს, რომ ის ხანდაზმული სესხია? ამ შემთხვევაში როგორ იქცევა მსესხებელი?

— როდესაც ასეთი კითხვით არის ჩვენთან მომართვიანობა, ყოველთვის ვეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ არც ბანკმა აპატია, არც ფონდი „ქართუს“ აქციაში მოხვდნენ და 3 წელზე მეტი არის გასული ვალიდან, მაშინ შეუძლია გადახდაზე უარი თქვას. ეს არ ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. ხშირად ვაწყდებით ასეთ რამეს, მე ხომ არ მაქვს გადახდილი და შემიძლია არ გადავიხადო?! დიახ, სამოქალაქო კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, რომ ვადის გასვლის შემდეგ, მოვალემ უარი თქვას გადახდაზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო — ეს არ ითვლება ან კრიმინალად, ან სხვა მოქმედებად.

— ხშირად, მოქალაქეები ამბობენ, რომ ურჩევნიათ საქმე სასამართლომდე მივიდეს, ეს რამდენად სწორი მიდგომაა?

— აბსოლუტურად გამართლებული ლოგიკაა და ყველას ვურჩევ, რომ ზარების შემთხვევაში, მოქალაქემ მიმართოს სასამართლოს. სასამართლო გაცილებით კარგი რევიზორია და მოქალაქეების უფლებების დამცველია.

— თუმცა, სასამართლომდე, როგორ ახერხებენ ყადაღის დადებას?

— ვერანაირი ორგანიზაცია სასამართლომდე ვერ აყადაღებს, თუ არ გვაქვს იმ შემთხვევასთან საქმე, როცა დავალიანება იმ ბანკში გაქვს, სადაც ანგარიში, ამ შემთხვევაში კი არ აყადაღებენ, არამედ თანხის ჩამოჭრას ახდენენ. სასამართლოს გარეშე ყადაღის დადება დაუშვებელია.

— რამდენად ხშირია თქვენთან ე.წ. დაზარალებული მსესხებლების მხრიდან მომართვიანობა?

— ძალიან ხშირია, მაგრამ, შეიძლება ვთქვათ „ვივუსის“ და მსგავსი მიკროსაფინანსოების სესხებზე მომართვიანობამ ჩაიარა, თუმცა გაზრდილია საბანკო დავალიანების კუთხით მომართვიანობა. ამ მიკროსაფინანსოებზე ხალხმაც გაიგო, რომ ხანდაზმულია და ამას მეტ-ნაკლებად აპროტესტებენ. ახლა წამოსულია ისეთ სასესხო დავალიანებებზე მომართვიანობა, რომელიც პანდემიამ გამოიწვია.

— ამ პანდემიის პერიოდში ბანკები რამდენად მოდიან შეღავათებზე?

— ძალიან ცუდად. ჯერჯერობით ეს პერიოდი სასამართლომ არ შერაცხა, როგორც ფორსმაჟორული ურთიერთობები და შეიძლება ითქვას, არ გაითვალისწინა გადახდისუუნარობის საფუძვლები. მეჩვენება კიდეც, რომ თუ სასამართლო განხილვა წელიწადი გრძელდებოდა, ახლა თითქოს წარმოებები დაჩქარდა. სასამართლომ არც ერთი წარმოების დროს პანდემია არ გაითვალისწინა და არც გადაუვადა მოქალაქეს სესხი და არანაირი შეღავათები არ არის.

— მაგრამ ბანკებს სამთვიანი შეღავათები რომ ჰქონდა?

— ბანკები ამ შემთხვევაშიც ცბიერები გამოდგნენ, სახელმწიფოს დაასწრეს და „იმდაგვარი შეღავათი“ შესთავაზეს მოსახლეობას, რომ პირიქით, სამმაგი მოგება ნახეს და მოქალაქეს ეს შეღავათები უფრო მძიმე ტვირთად დააწვა.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

დამატებითი რესურსები ბათუმისა და სენაკის მიმართულებით

საქართველოს რკინიგზა სააღდგომო დღეებში ბათუმისა და სენაკის მიმართულებით დამატებით რეისებს ნიშნავს. გაზრდილი მგზავრთნაკადის გამო რეისები 29, 30 აპრილსა და 1 მაისს დაემატება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რკინიგზა ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ბილეთები უკვე იყიდება ონლაინ და საქართველოს რკინიგზის სალაროებში.

„აქვე შეგახსენებთ, კოვიდ19-თან დაკავშირებულ რეკომენდაციებს:

გამცილებლები მგზავრებს ვაგონის შესასვლელებში ჩაუტარებენ თერმოსკრინინგს, მატარებელში შესვლისთანავე კი მათ უნდა გაიარონ დეზობარიერი და ხელები დაიმუშაონ სადეზინფექციო ხსნარით.

ხელის დისპენსერები ყველა ვაგონში იქნება დამონტაჟებული. მნიშვნელოვანია მგზავრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში არ გამოცხადდნენ გასამგზავრებლად.

პირბადის გარეშე მგზავრები არ დაიშვებიან და მგზავრობის პროცესში მათ არ აქვთ პირბადის მოხსნის უფლება. საქართველოს რკინიგზა მგზავრებს ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის დაცვისკენ მოუწოდებს. ზემოთაღნიშნულ რეისებზე ბილეთების შეძენა უკვე შეგიძლიათ“, — ნათქვამის საქართველოს რკინიგზის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲛᲐᲠᲘᲝ ᲚᲐᲜᲪᲐ – „ᲛᲖᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲭᲣᲜᲐ ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲘᲓᲐᲜ“



XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 50-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲝᲠᲔᲠᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐᲛ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲛ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ, ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲡᲛᲔᲜᲓᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ (ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ) ᲙᲝᲛ�პᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠ ᲝᲞᲔᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ...

ლეგენდარულ ენრიკო კარუზოზე უზომოდ შეყვარებულმა, აღარც კი ვიცი, რამდენჯერ მოვინახულე იმ დროს მასზე ახლად გამოსული კინოფილმი დიდებული საოპერო მომღერლის და მსახიობის მარიო ლანცას შესრულებით. დარწმუნებული ვარ, ამ კინოფილმის ნახვის შემდეგ, უამრავ ახალგაზრდას აღეძრა სურვილი და ინტერესი კლასიკური სიმღერისადმი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა შესანიშნავი მომღერლების მომრავლება მსოფლიოს საოპერო სცენებზე. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან მარიო ლანცას მიერ შესრულებული არაერთი ნეაპოლიტანური თუ სხვა ქვეყნების სიმღერები გულგრილს არავის ტოვებდა. შესრულება მართლაც შთამბეჭდავი და მომხიბლავი იყო. მისი ულამაზესი ლირიკო–დრამატული ტენორი, ფართო შესაძლებლობებისა და დიაპაზონის ხმა, მომაჯადოებლად ჟღერდა ყველა რეგისტრში. არაჩვეულებრივი ძალის, მდიდარი, ემოციურად გამჭოლი, მფრინავი და მოკაშკაშე ტემბრის ხმა, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რასაც თან ახლდა სტილის ფაქიზი შეგრძნება, გამორჩეული მუსიკალურობა, თბილი, რბილი და მომფერებელი ბგერები. ეს ყველაფერი მომღერალს აძლევდა საშუალებას, თავისუფლად შეესრულებინა როგორც ლირიკული, ასევე დრამატული ნაწარმოებები.

ერთი სიტყვით, ასპარეზზე გამოჩნდა საერთაშორისო დონის და უმაღლესი კლასის მომღერალი მარიო ლანცას სახით, რომელიც სრულად განასახიერებდა იტალიური სასიმღერო სკოლის ყველა აღიარებულ თვისებას.

ალფრედო არნოლდო კოკოცა, შემდგომში სამსახიობო ფსევდონიმით – მარიო ლანცა 1921 წლის 31 იანვარს დაიბადა ამერიკაში, პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში, იტალიელი ემიგრანტების: გადამდგარი სამხედროს მაღალჩინოსნის ანტონიო კოკოცას და მარია კოკოცა-ლანცას ოჯახში. მარიოს პირველი მუსიკალური შთაბეჭდილება დედის სიმღერებმა შეუქმნა, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა ნეაპოლიტანურ და საბავშვო სიმღერებს. ახალგაზრდა ლანცამ სიმღერა სახელგანთქმული ენრიკო კარუზოს გრამჩანაწერების მოსმენით და მიბაძვით ისწავლა. ვოკალის პირველი გაკვეთილები მან ბარიტონ ანტონიო სკარდუცოსგან მიიღო. შემდგომ ცოტა ხანს მეცადინეობდა ჯოვანი დი საბიტოსთან, მომდევნო პერიოდში კი წარსულში ცნობილ საოპერო მომღერალთან, სოპრანო ირენ უილიამსთან. მანვე უზრუნველყო მარიოს გამოსვლები საზეიმო ღონისძიებებსა და საღამოებში.

დამწყები მომღერლის პროფესიონალური წინსვლა და მიღწევები დაკავშირებულია იმ პერიოდში განთქმულ დირიჟორთან, მაესტრო სერგეი კუსევიცკისთან. მან ახალგაზრდა მომღერალი ტანგლვუდის ცენტში მიიწვია, სადაც სწავლობდნენ მუსიკალური და სიმღერის ნიჭით დაჯილდოვებული სტუდენტები.

1942 წლის 7 აგვისტოს აფიშებზე პირველად გამოჩნდა ახალი სახელი – მარიო ლანცას! პატარა ქალაქ ტანგლვუდში მისი დებიუტი ფენტონის როლში შედგა, ნიკოლაის კომიკურ ოპერაში „ვინძორელი ცელქი ქალები“.

აქედან მოყოლებული, მუსიკალური კრიტიკოსები მას აღარ უშვებდნენ თვალთახედვიდან. ახალგაზრდა მომღერლის მისამართით უამრავი მიწვევა განხორციელდა, მაგრამ მის მომავალ გეგმებს მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაერთო. მარიო ჯარში გაიწვიეს. ჯარში მსახურების დროს, პიტერ ლინდა ხეიზასთან მოსმენის შემდეგ იგი საკონცერტო დასში ჩარიცხეს, რომელიც მონაწილეობდა სამხედრო ნაწილებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოდიოდა რადიო გადაცემებში. ამასობაში ლანცა მოსო ხარტის მიერ დადგმულ პატრიოტულ შოუში – „ფრთიან გამარჯვებაში“ იღებს მონაწილეობას, რომელთანაც მომღერალი 1944 წლამდე თანამშრომლობდა. 1945 წლის 29 იანვარს იგი ჯარიდან დემობილიზებულ იქნა.

მარიოს ხმაურიანი წარმატება ბარიტონ რობერტო უიდის მიერ ორგანიზებულ ეი-ბი-სი-ს კომპანიის მიერ მოწყობილ რადიო-შოუში მონაწილეობამ მოუტანა. აქ ლანცამ, ავადმყოფობის გამო, ცნობილი ტენორი ჯან პირსი შეცვალა, რომელიც მისთვის არა მარტო საინტერესო საქმიანობა აღმოჩნდა, არამედ ცნობილი მომღერლების და მსახიობების გარემოცვაში ყოფნის შესაძლებლობაც. მოგვიანებით, იმავე უიდის დახმარებით, მარიო რადიოგადაცემა „მუსიკის დიდებული მომენტების“ სერიების წამყვანად შეარჩიეს, ეს გადაცემები მას 1946 წლის თებერვლამდე მიჰყავდა.

მომღერალი ვოკალში მეცადინეობას პოლი რობინსონთან განაგრძობს, რომლის მეშვეობითაც მან სემ უეილერი გაიცნო, შემდგომში მისი პირველი მენეჯერი. უეილერმა მიიჩნია, რომ ლანცა უფრო ავტორიტეტულ პედაგოგთან მეცადინეობას საჭიროებდა და მოსმენა ენრიკო როზატისთან მოუწყო, რომელიც ადრე ცნობილი ტენორის ბენიამინო ჯილის პედაგოგი იყო; როზატი მარიოს ხმამ აღაფრთოვანა და უმალ დათანხმდა მასთან მუშაობაზე. მომღერალი როზატისთან ერთი წელი და სამი თვე მეცადინეობდა. ამ პერიოდს ჩვეულებრივს ვერ დავარქმევთ, რადგან იყო არა მარტო წარმატებები, არამედ გარკვეულწილად კონფლიქტები და დაპირისპირებებიც კი, უმეტესად ლანცას რეჟიმის და სწავლის მიმართ დამოკიდებულების გამო, თუმცა მომდევნო პერიოდში ტენორი ყოველთვის უდიდესი მადლიერებით იხსენებდა როზატის, მის მიმართ გაწეული შედეგიანი მეცადინეობისათვის.

მარიოს შემოქმედებით გზაზე, მომდევნო საფეხურად, უნდა მივიჩნიოთ მისი მოხვედრა „ბელ კანტოს სამეულის“ შემადგენლობაში სოპრანო ფრანსის ინდსა და ბას-ბარიტონ ჯორჯ ლონდონთან ერთად. „ბელ კანტოს სამეული“ 1947 წლის ივლისიდან თითქმის თორმეტი თვის განმავლობაში აქტიურად გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში, კანადასა და მექსიკაში. დაარსებიდან სულ მალე ჯგუფი მიიწვიეს „ჰოლივუდის თასის“ დარბაზში კონცერტის ჩასატარებლად, სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, იუჟინ ორმანდის დირიჟორობით. კონცერტს ესწრებოდა კინოსტუდია „მეტრო-გოლდენ-მაიერის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ლუის მაიერი. როგორც მაშინდელი ჩანაწერები ცხადყოფენ, კონცერტმა უმაღლესი შთაბეჭდილება დატოვა. ლანცას და ფრანსისის სიმღერა ფერადოვანი ფერებით შექმნილ მხატვრობას შეადარეს. ამ კონცერტმა მთლიანად შეცვალა მარიოს ცხოვრება და საბოლოოდ განსაზღვრა მისი არჩევანი კინომსახიობის და საკონცერტო მომღერლის სასარგებლოდ.

„ჰოლივუდის თასის“ დარბაზში მიღწეული ტრიუმფიდან სამი დღის შემდეგ, კინოკორპორაცია „მეტრო-გოლდენ-მაიერმა“ ლანცა გადაღებაზე მიიწვია და 7 წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მისმა პირველმა ფილმმა „შუაღამის ამბორი“ (1949წ.) მთელი ამერიკა ანშლაგით შემოიარა და მარიო ლანცას უდიდესი სახელი მოუტანა. ამის შემდეგ კინოეკრანებზე ერთმანეთის მიყოლებით ხშირად ჩნდება მის მიერ შესრულებული ფილმები: „შეყვარებული ახალი ორლეანიდან“ (1950წ.), „დიდი კარუზო“ (1951წ.), „იმიტომ, რომ შენ ჩემი ხარ“, დოროთი მოროუსთან ერთად (1952წ.), „პრინცი–სტუდენტი“ (1954წ.), „სერენადა“ (1956წ.).

1957 წლის მაისში მომღერალი ოჯახთან ერთად იტალიაში (ნეაპოლი) ჩავიდა, ფილმის „რომის სამი გორაკის“ („ნახვამდის, რომო“!) გადაღებაში მონაწილეობის მისაღებად. ორი წლის შემდეგ კი იგი ფილმ „დიდი სიყვარულის სერენადაში“ ჩნდება.

მარიო ლანცას მიერ შესრულებულ კინოფილმებს გარდა, დიდებული და უნიკალური მუსიკალური ნაწარმოებებისა, რა დროსაც გამაოგნებლად ჟღერდა საოპერო არიები, ნეაპოლიტანური თუ სხვადასხვა ქვეყნის კომპოზიტორების მიერ სპეციალურად შექმნილი და ხალხური სიმღერები, სიუჟეტის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევდა. ასე რომ, ფილმები სანახავად და მოსასმენად მართლაც შთამბეჭდავი იყო.

1959 წლის 17 აპრილს ტენორს მოულოდნელად გულის შეტევა დაემართა, რომელიც ოთხი თვის შემდეგ ისევ განმეორდა. მომღერალი სტენოკარდიით და ფილტვების ორმხრივი ანთებით რომის „ვალე ჯულიას“ კლინიკაში აღმოჩნდა!.. კინოფილმ „იცინე, ჯამბაზოს“ გადაღება შეწყდა. საავადმყოფოში ლანცას ათეროსკლეროზის და ჰიპერტონიის ნიშნები დაუდგინეს. იმავე წლის 7 ოქტომბერს საქვეყნოდ ცნობილი ტენორი გულის ფართო ინფარქტით, 38 წლის ასაკში გარდაიცვალა. მართლაც შემზარავი იყო მისი ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლა. საერთოდ ტრაგედიაა, როცა ახალგაზრდა მიდის, მაგრამ ორმაგად და სამმაგად ტრაგიკულია, როდესაც თითქმის მთელი მსოფლიოს სათაყვანებელი ადამიანი გვტოვებს უდროოდ, რაც უდაოდ გულწრფელ სინანულს იწვევს ყველა ჩვენგანში.

მისი გასაოცარი ხმა, სრულიად მსოფლიოს დააკლდა. მომღერლის 14 წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა ბრწყინვალედ აისახა 11 ალბომში, 800-მდე სხვადასხვა ნაწარმოებსა და 8 ფილმში. ლანცას არაჩვეულებრივ ხელოვნებას, ასევე არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები ალამაზებდა: როგორც ყველა იტალიელი, ემოციური, ტემპერამენტიანი, ლაღი, უშუალო, თბილი და მომფერებელი იყო, ამავე დროს ურეჟიმო, დარდიმანდ და ტრაგიკულად მოწყენილ პიროვნებას წარმოადგენდა. საინტერესოა მომღერლის პირადი ბიოგრაფია: მისი მეუღლე გახლდათ უმშვენიერესი და სათნო ბეტი ბიკსი ამერიკის ქალაქ ხიკსიდან. მათ ჰყავდათ ქალიშვილები – კოლინი და ედისა, ვაჟები - დეიმონი და მარკი. კოლინი ავტოკატასტროფიაში დაიღუპა 1997 წელს, ედისა და დეიმონი გულის დაავადებით გარდაიცვალნენ 2008 წელს, მარკიც გულის შეტევით გარდაიცვალა 1993 წელს, როგორც ეტყობა, გულით ავადმყოფობა, მათში გენეტიკური ხასიათისა იყო.

მიმდინარე წლის 31 იანვარს ზუსტად 100 წელი შესრულდა მარიო ლანცას დაბადებიდან. მის მართლაც უნიკალურ ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებულმა ფანებმა, ზედმეტსახელად „მზიური ბიჭუნა ფილადელფიიდან“ შეარქვეს. მას კინოინდუსტრიასა და მუსიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჰოლივუდის „დიდების ხეივანაში“ ორი ვარსკვლავი აქვს გახსნილი. 1967 წელს მომღერლის სახელის უკვდავსაყოფად ფილადელფიის კუინ-სტრიტის პარკს ლანცას სახელი ეწოდა. 1993 წელს გამოვიდა მუსლიმ მაგომაევის სრულყოფილი წიგნი „დიდი ლანცა“.

მიმაჩნია, რომ მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში, ამაღლებასა და განვითარებაში უდიდესი როლი ჩვენს განუმეორებელ ხალხურ სიმღერას და კლასიკურ, მუსიკას შეუძლია, რომელიც, სამწუხაროდ იშვიათად ისმის ტელეეთერებიდან. ტელევიზიების მფლობელებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს და მენეჯერებს მინდა მივმართო და ვთხოვო, ხშირად გადმოსცენ კლასიკური (ვოკალური) ნაწარმოებები, ამავე დროს, გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ გარშემო უამრავი უგემოვნო და დაბალხარისხიანი მუსიკის ფონზე, მარიო ლანცას კინოფილმების ჩვენება და მის მიერ შესრულებული სიმღერების მოსმენა იგივეა, რაც სარკმლის გაღება და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა!.. ეს უთუოდ დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მუსიკალურ გემოვნებაზე.

ᲒᲔᲚᲐ ᲫᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი
(ტელ. 551 49 19 97)

ᲝᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲚᲝᲔ ᲟᲐᲝᲡ ᲓᲠᲐᲛᲐ Nomadland ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲛᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ, ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ.

2021 წლის ოსკარების დაჯილდოების ცერემონიის გამარჯვებულთა სია შემდეგნაირად გამოიყურება:

საუკეთესო ფილმი **Nomadland;** საუკეთესო რეჟისორი **ქლოე ჟაო (Nomadland);** საუკეთესო მსახიობი კაცი **ენტონი ჰოპკინსი (The Father);** საუკეთესო მსახიობი ქალი **ფრენსის მაკდორმანდი (Nomadland);** საუკეთესო მსახიობი კაცი მეორეხარისხოვან როლში **დენიელ კალუია (Judas and The Black Messiah);** საუკეთესო მსახიობი ქალი მეორეხარისხოვან როლში **იუნ იუჰ-ჯუნგი (Minari);** საუკეთესო სცენარი **Promising Young Woman;** საუკეთესო ანიმაცია **Soul;** საუკეთესო მუსიკა **Soul;** საუკეთესო სიმღერა **Judas and The Black Messiah;** საუკეთესო დოკუმენტური ფილმი **My Octopus Teacher;** საპატიო ოსკარი **ტაილერ პერი.**

გულისა და გონების ოკუპაცია,

ანუ... საფრთხე, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი დოკუმენტი ვერ ხედავს!

მართალია, „ჰიბრიდული ომის“ ინსტრუმენტები – საინფორმაციო ომი, ე.წ. რბილი ძალა, ფარულ ოპერაციები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არსებითი გამოწვევის ჭრილშია დანახული, თუმცა როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მთავარ პრობლემად არა მხოლოდ რისკების დანახვა და ანალიზი, ადეკვატური რეაგირება, კოორდინირებული მოქმედება რჩება, არ არის რა ეს მხოლოდ ერთი უწყების, საკითხით დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების თუ პლატფორმების პასუხისმგებლობა.

თავად სურათსა და საფრთხეზე კი, რაზეც სპეციალისტებიც ინტენსიურად მიუთითებენ, უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიშიც იძლევა წარმოდგენას და ირკვევა, რომ ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც გასული წელი ყოფილა:

„2020 წელს უსაფრთხოების გარემოზე არსებითად უარყოფით გავლენას ახდენდა უცხო ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები“ და ამ პროცესში დეზინფორმაციის, ე.წ. რბილი ძალის და ფარული ოპერაციების გამოყენება“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

- **საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია;**
- **საზოგადოებაში ნიჰილიზმისა და პესიმისტური განწყობების გაღვივება;**
- **ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დაბრკოლებების შექმნა.**

– ამგვარად ხედავს საქართველოში „ჰიბრიდული ომის“ ცალკეული ინსტრუმენტების გამოყენების მიზნებს სუს-ი.

გარდა პანდემიის კონტექსტში მიმდინარე დეზინფორმაციული კამპანიისა, გასულ წელს ასევე გამოიკვეთა აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკის მომძლავრება. ამ კონტექსტში გამოიყენებოდა ყარაბაღის მეორე ომის თემა და ასევე ვრცელდებოდა „ფეიკნიუსები“ კონფლიქტთან მიმართებაში ოფიციალური თბილისის მიერ საკუთარი ნეიტრალური პოზიციის გადახედვის თაობაზე.

„დადგინდა, რომ აღნიშნული აქტორები მოქმედებდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში, საიდანაც აქტიურად ხორციელდებოდა საქართველოს მოსახლეობაში მეზობელი ქვეყნების იმიჯის დისკრედიტაცია“, – აღნიშნავს სუს-ი.

დეზინფორმაციის მიზნებისთვის გამოიყენება მედიარესურსები, ინტერნეტ და კიბერსივრცე და როგორც სუს-ი აღნიშნავს, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. „საინფორმაციო ომის“ მიმართულებით, მზარდ ტენდენციად დადასტურდა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული კამპანიების წარმოებისას ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, სხვადასხვა ონლაინპლიკაციის გამოყენება და ეფექტიანობის გასაზრდელად, მოსახლეობაში მათი ფართო პოპულარიზაცია.

მართალია, უსაფრთხოების სამსახური გვარწმუნებს, „ჰიბრიდული საფრთხის“, როგორც რთულად პროგნოზირებადი და მრავალმხრივი საფრთხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე აქტიური უწყებათაშორისი კოორდინაცია და აღნიშნული საფრთხეების სხვადასხვა გამოხატულების მუდმივი შესწავლა-ანალიზი მიმდინარეობდაო, მაგრამ იქვე აღნიშნავს, სტრატეგიის განვითარების საჭიროებას, რაზეც სპეციალისტები წლებია, მიუთითებენ:

„დეზინფორმაციასთან, როგორც „ჰიბრიდულ საფრთხესთან“ ბრძოლის კონტექსტში, საქართველოსთვის, ისევე როგორც დასავლეთის წამყვანი დემოკრატიებისთვის, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მჭიდრო რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე შესაბამისი სტრატეგიების განვითარება“.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფოკუსში მოქცეული საფრთხე არახალია, მათ შორის, საქართველოსთვის, იმ განსხვავებით, რომ ახალი ტექნოლოგიების, კონტექსტის გათვალისწინებით იხვეწება ინსტრუმენტები, იცვლება ნარატივები (თუმცა არა მოკლე თუ გრძელვადიანი მიზნები), მაგრამ რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, იგი უცხოა საქართველოს უსაფრთხოების მთავარი დოკუმენტისთვის, რომელიც უკვე 10 წელს ითვლის და კრიტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, უსაფრთხოების კონცეფციის განახლება დღის წესრიგში ვერა და ვერ დადგა. და მაინც, რატომ არ/ვერ ასახავს დანახულ საფრთხეს ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი და რატომ უნდა ხედავდეს მას?

„ჰიბრიდულ ომზე აქტიურად საუბარი 2014 წლიდან, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ იწყება, როდესაც კრემლმა ინფორმაციის, კიბერ და ზოგადად, საკომუნიკაციო, ასევე, სამხედრო შესაძლებლობების მიქსი, მისთვის ეფექტურად გამოიყენა. ამ პერიოდიდან დასავლეთის სახელმწიფო უწყებებმა და აკადემიურმა წრეებმაც აქტიურად დაიწყეს აღნიშნული მიმართულების კვლევა და საპირწონე პასუხებზე ფიქრიც. გაძლიერდა საუბრები დეზინფორმაციის და რუსული პროპაგანდის ეფექტიანად მოგერიების აუცილებლობაზე. ასევე, დაიწყო საუბრები სტრატეგიული კომუნიკაციების, როგორც ახალი საინფორმაციო დისციპლინის ჩამოყალიბება-გაძლიერების მნიშვნელობაზე“, – ამბობს **„აქცენტთან“ სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი-საქართველოს დამფუძნებელი გიორგი მოლოდინი.**

მოლოდინი „ჰიბრიდული ომის“ არსიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ სტრატეგიული, კოორდინირებული ბრძოლის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ჰიბრიდული ომი“ თავისი შინაარსით სამხედრო და მონათესავე დარგის სპეციალისტებისთვის განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს. თუ ძალიან გავამარტივებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჰიბრიდული ომი“ ეს არის განსაკუთრებული აქცენტი ინფორმაციისა და კიბერ-შესაძლებლობების გამოყენებაზე, სხვადასხვა ფორმის პოლიტიკურ ძირგამომთხრელ ღონისძიებებთან ერთად. მთავარი ამოცანა ადამიანების გულისა და გონების ოკუპაციაა, ანუ მათი ქცევის წესის შეცვლა, სადაც „ობიექტი“ დარწმუნებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილებებით საკუთარი მიზნების მიღწევას შეუწყო ხელი, სინამდვილეში კი, მოწინააღმდეგის მხარდამჭერი ღონისძიებები გაატარა.

ქართულ რეალობაში ჰიბრიდულ ომებზე ჩანაწერებს ვხვდებით სხვადასხვა უწყებრივ დოკუმენტებში, თუმცა არ მახსენდება ეროვნული დონის დოკუმენტი, სადაც განსაკუთრებული, ერთიანი, უწყებათშორისი დონის მიდგომებზეა საუბარი, სახელმწიფოს მხრიდან ჰიბრიდული ომის მოგერიებისთვის. ერთი რამ, რაც ჩვენი და საერთაშორისო გამოცდილებიდან უნდა გვესწავლა, არის ის, რომ ჰიბრიდულ ომთან დაპირისპირება რომელიმე ერთი უწყების ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ვერ იქნება. ის იმ დაავადებას ჰგავს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ყველა ორგანოს ერთდროულად აზიანებს“.

დაუყოვნებლივ შეცვალეთ გენოციდის აღიარების გადაწყვეტილება!..

თურქეთი ღრმად დამწუხრებულია აშშ-ის პეზიდენტის ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებით ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდის აღიარების გამო, – განაცხადა თურქეთის ლიდერმა, რეჯებ ტაიპ ერდოღანმა და ამერიკელ კოლეგას ევროპელი ახალმოსახლეების მიერ მკვიდრ ამერიკელებთან მოპყრობაზე მიანიშნა. 24 აპრილს ჯო ბაიდენმა მეოცე საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და დეპორტაცია გენოციდად აღიარა.

„ბაიდენმა საუკუნეზე მეტი ხნის წინ მომხდარი მოვლენების მიმართ გამოიყენა არასამართლიანი ფრაზა, რომელიც ისტორიაზე არ არის დაფუძნებული. ჩვენ ამან ძლიერ დაგვამწუხრა. ეს საკითხები უნდა დავუთმოთ ისტორიკოსებს და არა პოლიტიკოსებს. მაგრამ საპირისპირო მხრიდან არანაირი პასუხი არ არის. დასავლეთი აჩვენებს ფარისევლობას სომხეთის საკითხისა და ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ“, – ამბობს ერდოღანი და ბაიდენს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეცვალოს სომეხთა გენოციდის აღიარების გადაწყვეტილება.

თავისი პოზიციის გასამყარებლად ერდოღანი აღნიშნავს, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში **„სომხური დიასპორის წარმომადგენლებიც კლავდნენ თურქი ეროვნების უდანაშაულო ადამიანებს“.**

ამასთან, ის ამბობს, რომ თურქეთი ამზადებს საარქივო მონაცემებზე დაფუძნებულ განცხადებას, რომლის გასაჯაროვებისთვისაც ანკარა მზად არის.

„როდესაც ახსენებთ „გენოციდს“, შეხედეთ თქვენს თავს. ინდიელებზე საუბარიც არ ღირს – ყველაფერი ისედაც ცნობილია. ასე, რომ ვერ შეძლებთ თურქეთს მიაკეროთ იარლიყი „გენოციდი“. აშშ-სთან დაკავშირებით შესაძლოა დაიწყოს დისკუსიები უამრავი საბაბით: ვიეტნამიდან ერაყამდე“, – დასძინა თურქეთის ლიდერმა.

რუსეთი არამეგობარ ქვეყანათა სიაში

რუსეთის მთავრობის მიერ შედგენილი არამეგობრული ქვეყნების სიაში საქართველოც შედის. ინფორმაციას ამის შესახებ რუსი ჟურნალისტი დმიტრი სმირნოვი ავრცელებს, რომელიც კრემლის ჟურნალისტთა გუნდის შემადგენლობაში შედის. ჟურნალისტის ინფორმაციით, რუსეთისთვის არამეგობრული ქვეყნების სია ცნობილია და მასში შემდეგი ქვეყნები შედიან: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო, უკრაინა, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი. ამ სიას კი ახლა აშშ და ჩეხეთი დაემატა.

24 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც, რუსეთი არამეგობრული ქვეყნების დიპლომატიურ მისიებსა და სხვა საგენტოებში ადგილობრივი თანამშრომლების რაოდენობას შეზღუდავს. 26 აპრილს ცნობილი გახდა, რომ რუსეთი აშშ-ს არამეგობრული ქვეყნების სიაში შეიყვანს.

ნაწყენი ვარ და შეურაცხყოფილი...

ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი აცხადებს, რომ თურქეთში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც ის სკამის გარეშე დარჩა, სექსიზმს უკავშირდება.

„ვერ ვპოულობ ვერანაირ გამართლებას, თუ როგორ მომექცნენ თურქეთში და უნდა დავასკვნა, რომ ეს იმიტომ მოხდა, რომ ქალი ვარ“, – აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა. ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ნაწყენი დარჩა და თავი მარტოდ იგრძნო როგორც ქალმა და როგორც ევროპელმა. შეგახსენებთ რომ, 6 აპრილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკომისიის ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი თურქეთს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრნენ. ერდოღანთან შეხვედრის დროს ევროკომისიის პრეზიდენტი სკამის გარეშე დატოვეს. ევროკომისიის ხელმძღვანელი ამ ნაბიჯით აშკარად გაღიზიანებული დარჩა და მას რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და შარლ მიშელისგან მცირედი დაშორებით, გრძელ ტახტზე განთავსება მოუწია.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. 2021 წლის 1 მაისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (4 ერთეული „ა“ კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.2 მემბრანოლოგიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“ კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (3 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“კატეგორია);

1.3 ბიოქიმიის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 2 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.4 ბიოქიმიური ნეიროფარმაკოლოგიის ლაბორატორია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.5 თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (4 ერთეული „ა“კატეგორია);

1.6 ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (3 ერთეული „ა“კატეგორია);

1.7 გამოყენებითი რადიაციული კვლევების ლაბორატორია – მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.8 რადიობიოლოგიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა„ კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.9 ბიოფიზიკის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (6 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (3 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია);

1.10 ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.11 ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.12 ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (3 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (4 ერთეული „ა“კატეგორია);

1.13 გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 2 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (4 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია);

1.14 რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია).

1.15 მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 3 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.16 ბიოინფორმატიკის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (3 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.17 ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია);

1.18 ტკივილის და ანალგეზიის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“კატეგორია);

1.19 თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია);

1.20 რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ-ანალიტიკური სერვისების ლაბორატორია – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია), მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“კატეგორია);

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ – სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

5.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

5.4. დიპლომების ასლები;

5.5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

5.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

6. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

7. კონკურსის ჩატარების თარიღია 2021 წლის 28-29 ივნისი.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2021 წლის 02 ივნისიდან 2021 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

9. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, სამდივნო. (საბუთების მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე).

საკონტაქტო პირები: მარიამ ირემაშვილი; ელმირა მეგედი; ნინო ემუხვარი;

ტელ.: 2 37 12 31; 2 37 03 00 ((227), (229), (225));

საიდუმლო მასალები ჩერნობილის კატასტროფის შესახებ

1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ატომურ ელეტქროსადგურზე მომხდარი ავარიიდან 35 წლის შემდეგ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა გამოაქვეყნა ავარიასთან დაკავშირებული საიდუმლო მასალები. კერძოდ, საუბარია პირველ ანგარიშზე აფეთქების შესახებ, რომელიც ჩერნობილის ატომოური ელექტროსადგურის დირექტორმა ვიქტორ ბრიუხანოვმა მოამზადა. ასევე ავარიის მომენტში სადგურის ოპერატორების საუბრებისა და ქალაქ პრიპიატის 44 ათასი მცხოვრების ევაკუაციაზე.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ყურადღებას ამახვილებს „სხვა ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება მალავდა“. **მაგალითად, მტკიცებულება იმისა, რომ 1986 წლის 26 აპრილამდეც ხდებოდა ავარიები. 1982 წელს პირველ ენერგობლოკზე მოხდა „რადიოაქტიური ნივთიერების მნიშვნელოვანი გაჟონვა“, მაგრამ „კაგებეს“ ანგარიში მთავრდება ჩვეული ფრაზით: „მიღებულია ზომები პანიკისა და პროვოკაციული ჭორების თავიდან ასაცილებლად“,** – წერს უკრაინის უსაფრთხოების სამსახური. 1984 წელს კი ავარია მოხდა მესამე და მეოთხე ენერგობლოკებზე.

ამის გარდა, **„1983 წელს მოსკოვის ხელმძღვანელობამ მიიღო ინფორმაცია, რომ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ატომურ სადგურს უსაფრთხოების საშუალებების არარსებობის გამო“, ამასთან, „ავარიის შემთხვევაში რადიოაქტივობა შეფასებული იყო 60-ჯერ ძლიერად, ვიდრე ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების აფეთქებისას“,** – ნათქვამია უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციაში.

უწყება ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ 1986 წლის 8 ივლისს გაიცა დირექტივა, რომელიც ასაიდუმლოებდა ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის დეტალებს, ასევე მიზეზებს, ნგრევის ხასიათს, აფეთქების შედეგად ჰაერში ამოფრქვეული ნივთიერების შემადგენლობას, რადიაციულ მდგომარეობას, სალიკვიდაციო სამუშაოების მასშტაბებსა და დაავადების სტატისტიკას.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ყურადღებას ამახვილებს „კაგებეს“ საიდუმლო ანგარიშზე წარმატებული სპეცოპერაციის შესახებ, რომლის ფარგლებშიც 1987 წლის ოქტომბერში ქალაქ პრიპიატის ნიადაგისა და წყლის ნიმუშები, რომლის საზღვარგარეთ გატანა ფრანგ ჟურნალისტს უან პიერს სურდა, შეიცვალა რადიოაქტიურად სუფთა ნიმუშებით.

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფიდან 35 წელი გავიდა. ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა სსრკ-ის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ს აღმოსავლეთი ნაწილი. რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელორუსიის ტერიტორიაზე. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო დაახლოებით 200 000 ადამიანი.

საგანგებო სამსახურების თანამშრომლები, მეხანძრეები და ის ადამიანები, ვისაც ატომურ ნარჩენებთან პირდაპირი შეხება ჰქონდა, გარდაიცვალნენ. რადიაციამ, სავარაუდოდ, წლების განმავლობაში ათასობით სხვა ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლა, როგორც უკრაინის, ისე ბელარუსის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზეც. 2016 წელს რადიაციის შესაკავებლად აფეთქებული სადგური სპეციალური ფოლადის სარკოფაგით დაფარეს. ეს 2,3 მილიარდი დოლარის ღირებულების ლითონის გუმბათია, რომელმაც რადიაციის გაჟონვა უნდა შეაკავოს. მის ქვეშ 200 ტონაზე მეტი ურანია მოქცეული.

სიტუაცია გულსატკენზე მეტია

„კოვიდ-19“-ის პანდემია გლობალურად მწვავდება, ინდოეთში კი, სიტუაცია გულსატკენზე მეტია, – ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ტედროს ადანომ გებრეისუსმა ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, გასულ კვირაში გლობალურად თითქმის იმდენი შემთხვევა დადასტურდა, რამდენიც პანდემიის პირველი ხუთი თვის განმავლობაში.

გებრეისუსის განცხადებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ინდოეთში პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით პერსონალს და მასალებს გზავნის. „როიტერის“ ცნობით, ინდოეთში პანდემიის დაწყების შემდეგ „კოვიდ-19“ 17 მილიონზე მეტ ადამიანს დაუდასტურდა, 195 000 ადამიანი კი გარდაიცვალა. ბოლო ერთი კვირაა, ინდოეთში ყოველდღიურად „კოვიდ-19“-ის 300 000-ზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება.

◎ ტრიუმფი

„ოქრო“ კომპლექტის შესავსებად



პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. ქართველმა ფალავნებმა თითო ოქრო-ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რამაც მათ მესამე საერთო გუნდური ადგილი მოუტანა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა შმაგი ბოლქვაძე (72 კგ). მსგავს წარმატებამდე ცოტა დააკლდა იაკობ ქაჯაიას (130 კგ), რომელიც ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო ლერი აბულაძე (63 კგ) და აივენგო რიკაძე (82 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ. ქაჯაიას და აბულაძის წარმატებაზე უკვე ვწერდით.

72 კილოგრამ წონით კატეგორიში შესანიშნავად იჭიდავა შმაგი ბოლქვაძემ. მან ზედიზედ დაამარცხა შვედი დანიელ მატიას სოინი (4:0), რუსი ჩინგიზ ლაბაზანოვი (2:0), უნგრელი რობერტ ატილა ფრიტში (3:1), ფინალში სომეხ მალხას ამოიანს 4:1 აჯობა და კონტინენტის ჩემპიონი პირველად გახდა. ქართველ ფალავანს ევროპის პირველობებზე მანამდე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჰქონდა მოპოვებული.

აივენგო რიკაძემ სტარტზე დაძაბულ ორთაბრძოლაში მოუგო ჯერ უნგრელ ლასლო შაბოს (3:2), შემდეგ აზერბაიჯანელ ტუნჯაი ვაზირზადეს (5:2), მაგრამ ნახევარფინალში რუს ადლან აკიევთან ვერაფერს გახდა (1:6). სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში სომეხ კარაპეტ ჩალიანს 3:2 სძლია.

გივი გაგუა

◎ გვიმრავლოს!

სტადიონებს - მწვანე შუქი!

სპორტის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე შარშან, პანდემიამდე პერიოდში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და უეფა-ს „ჰეთ-თრიქის“ პროგრამის დაფინანსებით ვაკის საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა დაიწყო.

და აი, მორიგი საჩუქარი დედაქალაქს, რომელიც სფფ-ს 2019 წლის დეკემბერში ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის მხარდაჭერით გადაეცა.

ახალგახსნილი კოპწია ობიექტი დაამშვენა სტანდარტულმა ხელოვნურსაფარიანმა მოედანმა, ადმინისტრაციულმა შენობამ, ტრიბუნამ, განათების სისტემამ და სარბენმა ბილიკმა, მისით სარგებლობას კი უფასოდ შეძლებენ უბნის საფეხბურთო სკოლები, ქალთა და მოყვარულთა გუნდები, აგრეთვე — ადგილობრივი მოსახლეობა.

დავძენთ, რომ, წინასწარი შეთანხმებით, ეს ინფრასტრუქტურა დღის 3 საათამდე იქაურ სტუდენტთა განკარგულებაში იქნება, ხოლო შემდეგ — ფეხბურთის ფედერაციის.

◎ ჩოგბურთი

ბავარიულ კორტზე

რეიტინგში ერთი ადგილით დაწინაურებულმა და სადღეისოდ 35-ე პოზიციაზე მყოფმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ATP 250 კატეგორიის ტურნირი მიუნხენში მსოფლიოს 76-ე ბრაზილიელ ჩოგან ტიაგო მონტეიროსთან მოგებით დაიწყო — 6:2, 6:3, ვისაც პროფესიულ ტურში აქამდე ერთადერთხელ შარშან — როლან გაროსის სტარტზე სამ სეტში 5:7, 4:6, 2:6 დანებდა. მეორე წრეში ჩვენებურის მეტოქე იტალიელ სტეფანო ტრავალიასა და ამერიკელ სებასტიან კორდას წყვილში გამარჯვებული იქნება.

ამასობაში მსგავსი პრესტიჟის საგრუნტო ასპარეზობები სერბეთსა და კატალონიაში დასრულდა.

ბელგრადი. ფინალი. ბერეტინი (იტალია) — კარაცევი (რუსეთი) 6:1, 3:6, 7:6. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში ასლანმა თვით ნოვაკ ჯოკოვიჩი დასცა, ვინც სამშობლოში 2011 წლის შემდეგ დაუმარცხებლად თამაშობდა.

ბარსელონა. ფინალი. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი) 6:4, 6:7, 7:5. ეს ლეგენდარული მალიორკელის მე-12 ტრიუმფია აღნიშნულ თიხნარზე.

◎ 30 წლის წინათ

მარადიული გაკვეთილი

ისტორიული რეფერენდუმი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება „მრგვალი მაგიდის“ ეროვნული ხელისუფლებისა და მისი ლიდერის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ — აი, ამ სანიშანსვეტო მოვლენებით აღინიშნა 1991 წლის გაზაფხული, თუმცა, 30 წლის წინათვე — მზიან 29 აპრილს 13 საათსა და 13 წუთზე ბუნებამ ძმათამკვლელ შიდა დაპირისპირებაში ჩაბმულ ჩვენს სამშობლოს სტიქიის სახით ისეთი ჭკუის სასწავლებელი განსაცდელი მოუვლინა, მის დამანგრეველ შედეგებს დღემდე რომ ვიმკით.

საუბარია ზემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მომხდარ რვაბალიან მიწისძვრაზე, ქვესკნელად რომ იქცა შინდისფერი დროშის ქვეშევრდომთათვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

დიახ, თუ გაპარტახებულ ადგილობრივ მეურნეობასა და იავარქმნილ ინფრასტრუქტურას ადრე თუ გვიან, ალბათ, ეშველება, შეუდარებლად დიდია გულისტკივილი იმ მსხვერპლის გამო, მაშინდელ ტრაგედიას რომ მოჰყვა.

მართლაც, როგორ უნდა მოჰგვარო შვება საჩხერის რაიონში მიწისქვეშეთში ჩატანილი მთელი სოფლის მოსახლეობის ჭირისუფალს?

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ სხიერელებისა და მარკოიშვილების ოჯახების წევრებს — შეუხორცდათ სახელოვანი კალათბურთელის ამირან სხიერელის ძმის — ონის სპორტული კომპლექსის დირექტორის თემურ სხიერელისა და სოფელ ღარის ნაადრევად დაღუპული კოლორიტული მკვიდრის ემზარ მარკოიშვილის ქვრივის დაკარგვით გახსნილი იარა?!

სხვათა შორის, მსხვერპლი, განსაკუთრებით — მომავალ თაობაში — გაცილებით სოლიდური იქნებოდა, რომ არა დიდი სასკოლო დასვენება, რის გამოც მოსწავლეთა უმეტესობა ეზოში თამაშობდა და „სიმკარებს“ გადაურჩა.

იმ საბედისწერო დღემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ კადრები მართლაც წყვეტენ თუ ყველაფერს არა, როგორც იმ ეპოქის პოპულარული ლოზუნგი გვიმტკიცებდა, ბევრ რამეს მაინც. სხვაგვარი დასკვნის გაკეთება ძნელია იმ ძალისხმევის გათვალისწინებით, რომელიც რამდენიმე წამში დანგრეულის აღსადგენად გამოიჩინა ხელისუფლებაში ახალმოსულმა მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ.

როგორც აღმშენებლობითი სარეაბილიტაციო პროცესის უშუალო თვითმხილველი, ამაყად ვაცხადებ: მარადიულ შრომითი გმირობის ტოლფასი გახლდათ ის ფაქტი, რომ დაზამთრებამდე უამრავმა დაზარალებულმა აღნიშნა ახალმოსახლეობა. აღარაფერს ვამბობ არანაკლები რაოდენობით გარემონტებულ კერიებზე. და ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა შინაურ თუ გარე ჩასაფრებულ კრიტიკოსთა ფსიქოლოგიური ტერორის ფონზე, ცდას რომ არ აკლებდნენ, ბუზი სპილოდ წარმოეჩინათ და გარდაუვალი უნებლიე ადამიანური შეცდომები საქირქილო თემად გაეხადათ.

მეტიც — ვაგონებში დარჩენილნი იმედიანად ელოდნენ მომავალ გაზაფხულს, როცა მშენებლებს დაწყებული საშვილიშვილო საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ, მაგრამ პუტჩისტურმა გადატრიალებამ არათუ მთიანი რეგიონის, სრულიად საქართველოს განვითარება შეაფერხა.

და ბოლოს: დამსახურებული მადლიერების სტრიქონები ქუთაისის სამშენებლო სამმართველოს აწ განსვენებულ თავკაც თამაზ ბერეკაშვილსა და „კავგვირაბმშენის“ ლეგენდარულ ხელმძღვანელ ავთანდილ ჩალაძეს, ვისი ორგანიზატორული ნიჭითაც თანამემამულეებს შოკი თანადგომით მოგვრილი სიხარულით შეეცვალათ.

გია პლატონიშვილი

პატიმრების მწამებელს 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება!

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის №8 დაწესებულების ყოფილი თანამშრომელი გ.ა. დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2010-2012 წლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი თანამშრომელი გ.ა. და ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლები ჯგუფურად, დასჯისა და დაშინების მიზნით პატიმრებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში აყენებდნენ. გ.ა. პატიმრებს ძალადობრივი მეთოდებით უსწორდებოდა, აყენებდა მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. უსიტყვო მორჩილების მიზნით, ამავე პატიმრების მიმართ ძალადობას, სისტემატური ხასიათი ჰქონდა. გ.ა.-ს ქმედებების შედეგად, პატიმრებს უკანონოდ ჰქონდათ შეზღუდული გასეირნების, ძილისთვის და დასვენებისთვის განკუთვნილი დრო, სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის უფლება. ასევე, არ ჰქონდათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილ თანამშრომელს პატიმრები საკნიდან თვითნებურად გაჰყავდა და დაწესებულების კორპუსში მდებარე აბანოში მათზე ჯგუფურად, ხელკეტებისა და სხვადასხვა საგნის გამოყენებით, მათზე ფიზიკური ანგარიშსწორება ხდებოდა. ამასთან, პატიმართა მორალური ტანჯვის მიზნით, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობის მუქარას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ დამცირება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს მათ, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) გრძელდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პატიმრების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა, №8 დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკა იყო, რასაც სისტემური ხასიათი ჰქონდა და გამიზნული იყო პატიმართა დამცირების, დაშინებისა და უსიტყვო მორჩილებისკენ. პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შედეგად, პასუხისგებაში პენიტენციური სისტემის 80-მდე თანამშრომელია მიცემული. საქართველოს პროკურატურა ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებს“.

ახმეტაში, დაჭრის ფაქტზე, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზ.ც. დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ახმეტაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1983 წელს დაბადებული ი.ქ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზ.ც. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ახმეტაში დააკავეს.

ულოცავენ!

ღირსეული ქართველი და მამულიშვილი



რევაზ გოგოხია-80

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომისტთა მრავალი თაობის აღმზრდელს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გამორჩეულ სტუდენტსა და თანამოაზრეს, თხემით ტერფამდე ღირსეულ ქართველსა და მამულიშვილს, უდიდეს მოყვასსა და ღირსეულ პიროვნებას ბატონ **რევაზ გოგოხიას** დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს.

გისურვებთ, ბატონო რეზო, კვლავაც თქვენეული სიდარბაისლითა და დიდი ერისკაცობით ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო, საჭირბოროტო საკითხის წამოწყებების ერთგული დამცავი და გამტარებელი ყოფილიყავით, რამეთუ თქვენი პროფესიონალური ნაზრევი და დასკვნები არაერთი წარმატებების დაგვირგვინება გახდა. კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო რეზო, საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და გახარებას თქვენს დიდ ოჯახთან, უღალატო მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, რომლებთანაც კიდევ ბევრი ჩანაფიქრი უნდა განახორციელოთ.

იხარეთ და იდღეგრძელთ, ბატონო რეზო!

უღრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით

აკადემიის სახელით

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,

აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი, ქ. თბილისისა და აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქე.

საკუთარ თავს თავადვე უშველეთ!

დარწმუნებული ვართ, კითხვა — რა საჭიროა აბების ყლაპვა, როცა ამა თუ იმ სურსათის მიღება სავსებით საკმარისია ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული, ასე ვთქვათ, „პოპულარული სენისგან“ თავის დასაღწევად, პასუხი ერთობ დამაჯერებელია.... კერძოდ, თუ გაწუხებთ:

კუნთების ჭკივილი

საჭიროა ყოველ დილა-საღამოს მჟავე ბლის ან ალუბლის თითო ფინჯანის, ანდა ჭიქა წვენის მიღება.

ეფექტი მიიღწევა იმის წყალობით, რომ ეს ხილი იგივე ენზიმებს შეიცავს, რომლებიც ანთების საწინააღმდეგო წამლების (ვთქვათ, იბუპროფენის) შემადგენლობაში შედის, ოღონდ თირკმელების და კუჭისთვის საზიანო პროცესების გარეშე.

მეხსიერების დაქვეითება

თუკი მეხსიერებას უჩივით, ამის წამალია ყოველ დღე მეოთხედი ჭიქა გაფცქვნილი ჭიქა მზესუმზირა მიირთვათ.

მისი თესლი დიდი ოდენობით ვიტამინ E-ს შეიცავს, რომელიც ჩვენ თავის ტვინს ოქსიდანტური სტრესისგან იცავს. ამიტომაც მისი მოხმარება მეხსიერებას გაგიუმჯობესებთ.

შიშები, შფოთი, განგაშის შეგრძნება

ამ სასაზღვრო მდგომარეობათა დასაძლევად ყოველ დღე მეოთხედი ფინჯანი მიწის თხილი — არაქისი მიირთვით.

თუკი თავის ტვინი გამა-ამინოზეთოვან მჟავას საჭირო ოდენობით არ აწარმოებს, თავის ტვინი შფოთვის რეჟიმს ააქტიურებს. არაქისი კი მჟავას წარმოქმნის საუცხოო წყაროა.

კანის დაბერება

ამ მეტად არასასიამოვნო პროცესის შესანელებლად ყოველ დღე ერთი ფორთოხალი ანდა ფინჯანი მისი წვენი უნდა მოიხმაროთ.

ვიტამინი S ორგანიზმს კოლაგენის წარმოებაში უწყობს ხელს — ეს პროტეინი კანს ელასტიურობას უნარჩუნებს.

ყურაღღების გაბნევა

ამ მეტად არასასიამოვნო გარემოებისგან თავის დასაღწევად, ექიმები დღეში ერთი კვერცხის მოხმარებას გვირჩევენ.

კვერცხი დიდი ოდენობით ვიტამინ D4-ს შეიცავს — ეს მკვებავი ნივთიერება სხეულის სხვა ნაწილებისთვის ქალა-ტვინის მიერ განკარგულებების მიცემის უნარს აუმჯობესებს, ასევე ინახავს მის უჯრედებში მემბრანების სტრუქტურას.

უძილობა

თუკი ღამე ვერ იძინებთ, დღის განმავლობაში 120 გრამი ქათმის ხორცი მიირთვით.

იგი უნიკალურ ამინომჟავა ტრაპტოფანს შეიცავს, რომელიც ორგანიზმს მელატონინის გამომუშავებაში ეხმარება და ამით ძილის რეჟიმის მოწესრიგებას უწყობს ხელს.

დეპრესია

მის დასაძლევად კარგია დღეში ერთი ფინჯანი დაუჩურთავი ბრინჯის მოხმარება.

ნახშირბადები ხელს უწყობენ სეროტონინის წარმოებას, რომელიც გუნება-განწყობის რეგულირებისა და განგაშის შეგრძნების დათრგუნვაში საკვანძო ნეირო ტრანსმისტერია.

კუნთების ატროფია



გამოფიტვა — ესაა ორგანიზმის დაცვითი რეაქცია ზედმეტი გადაღლისგან. ამ გზით ის გაფრთხილებთ, რომ ენერგეტიკული მარაგების ოდენობა სწრაფად იწურება.

ამის გამოსწორების კარგი საშუალებაა დღეში ერთი ვაშლის ჭამა, რომელიც დიდი ოდენობით ურსოლის მჟავას შეიცავს, რომელიც, თავის მხრივ, ინსულინისა და სხვადასხვა ჰორმონის წარმოების საწვავს წარმოადგენს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია კუნთებისა და მათი ზრდისთვის.

თვალების შეშუპება

პრობლემის გადაჭრაში ყოველ დღე, ჭამის შემდეგ ფინჯანი მწვანე ჩაის მოხმარება დაგეხმარებათ.

თვალების შეშუპება და ჩაშავება ხშირად ამ უბანში სითხის შეგუბებას უკავშირდება. მწვანე ჩაი კი დიურეტიკია, რომელსაც შეშუპების მოხსნა სხეულის ნებისმიერ ნაწილში შეუძლია.

სისუსტე

მის დასაძლევად დღეში თითო ბანანი მიირთვით.

ეს ხილი კალიუმსა და მაგნიუმს დიდი ოდენობით შეიცავს, რომლებიც ორგანიზმის ენერგიის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ.

კუჭის აშლა

მოსარჩენად სადილის შემდეგ ერთი-ორი ფოთოლი პიტნა მიიღეთ.

ეს მცენარე საჭმლის მონელებას უწყობს ხელს, ასევე კუჭ-ნაწლავში ანთებითი პროცესის საუკეთესო ნეიტრალიზატორია.

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

იაქტიურეთ, კალმოსნებო!

ისრაელის საელჩო, გამომცემლობა „ინტელექტთან“ პარტნიორობით, მოკლე მოთხრობების კონკურსს აცხადებს! აღნიშნული კონკურსი იუნესკოს მიერ თბილისის 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად დასახელებას უკავშირდება და ჩატარდება შემდეგი პირობებით:

- **კონკურსში მონაწილეობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქე 35 წლამდე ასაკის ავტორები, რომელთა ნაშრომები ამ დრომდე წიგნად არ გამოცემულა;**
- **მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და არ აღემატებოდეს 20 გვერდს (ერთი გვერდი გულისხმობს, Sylfaen-ის 11-იანი შრიფტით აკრეფილ Word-ის ერთ გვერდს);**
- **ამბავი უნდა ეხებოდეს (მათ შორის) ებრაელებს და/ან ისრაელის თემატიკას და დაკავშირებული იყოს თბილისსა და ქართულ საზოგადოებასთან;**
- **გაითვალისწინეთ: საელჩო არ განსაზღვრავს თუ რა კონკრეტული კუთხით იქნება დანახული და გადმოცემული საქართველოსა და ისრაელის/ებრაული თემის ურთიერთობა. შესაბამისად, ავტორებს შეუძლიათ გაამახვილონ ყურადღება ორმხრივ მეგობრობაზე, ტრადიციებზე და ისტორიაზე; ან პირიქით - ამ ურთიერთობის კრიტიკულ ასპექტებზე და რაიმე სერიოზული სოციალური საკითხი/პრობლემა წამოჭრან. საელჩო არ მიიჩნევს საჭიროდ, ჩაერიოს მოთხრობის შინაარსსა თუ მის ქვეტექსტსა და გზავნილში.**

ნამუშევრები შეფასდება დამოუკიდებელი ჟიურის წევრების მიერ მხოლოდ მათი მხატვრული ღირებულების შესაბამისად.

- **მოთხრობებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური - გამორჩეული მწერლები და ინტელექტუალები;**
- **10 გამარჯვებული მოთხრობა ანთოლოგიის სახით გამოიცემა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ;**
- **პირველი სამი ადგილის მფლობელი მიიღებს 1,500, 1,000 და 500 ლარის ჯილდოს;**
- **მოთხრობები უნდა გამოაგზავნოთ ელ. მისამართზე: Competition.israelingeorgia@gmail.com არაუგვიანეს 1 ივნისისა.**

გისურვებთ წარმატებებს!

ბადრი ვადაჭკორიას ორი ვირტუალური გამოფენა – მექსიკაში

მექსიკაში ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. ფესტივალზე საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსითაა წარდგენილი. ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, ფოტოხელოვანმა ბადრი ვადაჭკორიამ გახსნა.

საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო ბადრი ვადაჭკორიას ორი ვირტუალური გამოფენა სახელწოდებით – „ათასფერი საქართველო“ და „წარსული, აწმყო და მომავალი“. ასევე, ფოტოგრაფმა წაიკითხა ონლაინ ლექცია ფოტოგრაფიისა და საქართველოს შესახებ.

ფესტივალი მექსიკაში წელს მეათედ იმართება და საქართველო მასში პირველად მონაწილეობს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

მიხაი ზიჩის მარშრუტი საქართველოში

თეა წულუკიანი უნგრეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა და მინისტრის პირველმა მოადგილე კახა სიხარულიძემ საქართველოში უნგრეთის ელჩთან ვიქტორია ჰორვატთან შეხვედრა გამართეს.

უწყების ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს. თეა წულუკიანმა ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოში კულტურის მიმართულებით განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი პროექტისთვის და აღნიშნა, რომ სამინისტრო მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს უნგრეთის საელჩოსთან.

შეხვედრაზე განიხილეს უნგრელი ფერმწერის და გრაფიკოსის, მიხაი ზიჩის კულტურული მარშრუტის შექმნის შესაძლებლობა. მინისტრმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისში ჩატარდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდო-

ბის სამინისტროს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილული იქნება მიხაი ზიჩის მარშრუტის შექმნის საკითხი. ასევე ელჩის მხრიდან გამოითქვა უნგრეთისა და საქართველოს მიერ მიხაი ზიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფილმის კოპროდუქციის წინადადება. ვიქტორია ჰორვატმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სახელმწიფო ფილმის თანადაფინანსების მზაობას გამოხატავს, რის საპასუხოდაც მინისტრი დაჰპირდა ელჩს, რომ მოცემულ საკითხზე ქართული მხარის პოზიციას მოგვიანებით შეატყობინებს.



„ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“ „ნიკა“ მოიპოვა

დიტო ცინცაძის ფილმმა „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“, დსთ-ს, საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, პრემია „ნიკა“ მოიპოვა, –ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.

ფილმის მსოფლიო პრემიერა 2019 წელს, შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც ნამუშევარმა ჟიურის მთავარი ჯილდო დაიმსახურა. ამასთან, პრიზი საუკეთესო მსახიობი ქალისთვის სალომე დემურიას გადაეცა.

„იტალიელი რობინზონ კრუზო“

81 წლის იტალიელი კაცი, მაურო მორანდი, რომელსაც მეტსახელად იტალიელ რობინზონ კრუზოს უწოდებდნენ, დატოვებს კუნძულ ბუდელს, სადაც 1989 წლიდან მარტო ცხოვრობდა.

მისი განცხადებით, საცხოვრებლის დატოვება იძულებით, კუნძულის მეპატრონის მოთხოვნის გამო უწევს.



„იმედი მაქვს, რომ ბუდელს ისევე უპატრონებენ, როგორც მე ვპატრონობდი 32 წლის განმავლობაში“, – ამბობს მორანდი.

ფიზიკური აღზრდის ყოფილმა მასწავლებელმა 2018 წელს, BBC-სთან საუბრისას თქვა, რომ ყოველთვის მეამბოხე იყო.

„უამრავი რამ ძალიან მომბეზრდა ჩვენს საზოგადოებაში: მომხმარებლური დამოკიდებულება და იტალიაში არსებული პოლიტიკური ვითარება. გადავწყვიტე კუნძულზე გადასვლა, ყველანაირი ცივილიზაციისგან მოშორებით. მინდოდა ახალი ცხოვრების დაწყება - ბუნებასთან ახლოს“, – თქვა მაურო მორანდიმ.

მოქალაქეებმა, კაცის მხარდასაჭერად, პეტიცია შეადგინეს. უკვე 70 ათასზე მეტი ხელმომწერი სთხოვს მთავრობას, კაცს კუნძულზე დარჩენის უფლება მისცეს. როგორც მაურო მორანდი ამბობს, საცხოვრებლად მეზობელ კუნძულზე, კორპუსის პატარა ბინაში გადადის.

„ჩემი ცხოვრება ძალიან არ შეიცვლება. იქიდანაც ჩანს ზღვა“, – ამბობს კაცი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე –
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 30 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4534; ევრო - 4.1765;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.8023;
100 რუბლი - 4.6059; თურქული ლირა - 0.4153;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0294;
1000 სომხური დრამი - 6.622.

ამინდი 28 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+8,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+25

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+5,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge